


საბჭოთა № 10  
წელი 1940



# საბჭოთა ხარმავება

საქ. სსრ სახელმწიფო სამსახურის ხარმავების  
სამსახურის სამსახურის შოგილობის მინისტრი



თბილისი

№ 10  
1940



3/88. නොදාරනුයි ඩ. ගම රූප  
3/88. වෙළඳවානි ඩ. ග්‍රෑහෝපාත්‍රපාල

# ერამაზუაგიის საელეისო ამოცანები

საქართველოს საბჭოთა თეატრალური ხელოვნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის თავს უდიდესი მიღწევებით ხვდება.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის შედეგად, ქართული თეატრი გადაიქცა მხატვრულ-პოლიტიკურ აღწრდის უმნიშვნელოვანეს ისრალად. ჩვენმა მოწინავე თეატრებმა დამსახურეს დიდი შემოქმედებითი გაქანების უნარის მქონეთა სახელი მოელს საბჭოთა კავშირში.

საქართველოში ამჟამად ორმოცდაათზე მეტი პროფესიული თეატრი და ასობით თვითმოქმედი დრამატიული წრეები გვაქვს. საქმარისია ვთქვათ, რომ ის, რაც ამ ოცი წლის წინათ მთელი ქართული თეატრის ავლათიდებას შეადგინდა, დღეს ყაქართველობის ერთ-ერთ რომელიმე რაიონშიც თეატრალურ მუშაობასაც ვერ შეეღრება. დღეს, მაგალითად, ლდესლაც ისეთ მივარდნილ კუთხეზე, რომ როგორიც სვანეთი იყო, მესტიაში, პროფესიული თეატრი მუშაობს, რომელიც სათანადო მხატვრულ სიმაღლეზე დგას და ყოველმხრივ უზრუნველყოფილია შემდგომი წინსვლისათვის.

ჩვენი თეატრის ზრდა-განვითარებაში დიდი როლი მიენიჭა ქართულ არიგინალურ დრამატურგიას. ჩვენს საბჭოთა დრამატურგიას დიდი მიღწევები აქვს. იგი თანაბრად იზრდებოდა ჩვენს საბჭოთა ლიტერატურის და თეატრის ზრდასთან ერთად. ოცი წლის მანძილზე ლირქმესანიშნავი პიესებია დაწერილი ჩვენი დრამატურგების მიერ, რომლებიც ასახავენ მუშაობა კლასისა და მისი ბელადის ბრძოლას, კაცობრიობის საკეთილ-დღეოდე, სოციალისტური ეპოქის მებრძოლ გმირებს, ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, ჩვენს სტრინგიულ წარსულს.

მაგრამ ჩვენმა დრამატურგებმა საბოლოოდ წარმატებით ვერ გადასჭრეს ერთი უმნიშვნელოვანეს საკითხი—სახელობრივი სინდიდუილის და მისი მებრძოლი გმირების შესხებ მაღალ მხატვრული ღირსების ნაწარმოებთა საკმაო რაოდენობით შექმნა.

ასეთი პიესები ჩვენი თეატრების რეპერტუარში ცოტაა და რაც არის ზოგი მათგანი მხატვრულ-პოლიტიკურ მოთხოვნილების მიხედვით არ არის გამართლებული.

მაგალითისათვის ავილოთ გ. მდივანის „სამშობლო“ და დ. ანთაძისა და ვ. სიმბონის „ანრი სუარი“. ეს პიესები თანამედროვე შინაარსისა არიან. მათში მოცემულია ორი მოწინააღმდეგე კლასის შეჯახების სცენები. მაგრამ როგორ გამოიყურებიან პერსონაჟები ამ შეჯახების დროს? დადებითი პორსონაჟები მეტად უფერული და სქემატური არიან. მათ აკლიათ მხატვრული დამაჯერებლობა. უარყოფითი პერსონაჟები—პირიქით დასრულებულად არიან მოსაზული. დრამატურგები ცდილობენ, რომ საბოლოო ანგარიშში დადებითი

პერსონაჟების არგუმენტი, როგორც ჩვენი დღეოლოგის შემცველი, მაგრამ ეს ცდა მეტად უსუსურია. მაყურებელი იძულებულია ამ მხრივ ბევრი აპატიოს დრამატურგის და თვით მივიღეს იმ დასკვნამდე, რას გამოხატვაც დრამატურგს ვერ მოუხერხებია.

რით აისანება დრამატურგის სისუსტე თანამედროვე ეპოქისა და ტიპების გამოსახვაში?

უწინარეს ყოვლისა იმით, რომ დრამატურგი ერთგვარ თვითდამშვიდებით არის მოცული. სოციალისტური ეპოქის უკრათებისა და ადამიანების გამოსახვას იგი შეველი შაბლონით უდგება, ავიზუდება რა, რომ ჩვენმა ეპოქამ შექმნა ახალი ურთიერთობანი ადამიანთა შორის, რომ ჩვენი სოციალისტურა ეპოქის ასახვისათვის საჭიროა სულ სხვაგვარი მეთოდი და უწინარეს ყოვლისა მისი ზედმიწვევნითი შესწავლა, მისი დღეოლოგის გულდასმით შეთვისება.

ზოგიერთი დრამატურგი არ ცდილობს ლენინურ-სტალინურ პარტიის გმირული ბრძოლის ისტორიის შესწავლას, არ არის საკმაოდ შეიძირალებული მარქს-ენგელს-ლენინ-პტალინის მოძღვრებით, არ არის ბოლშევიკურად გაწრთობილი. ზოგიერთი დრამატურგი საქმაოდ არ იცნობს ჩვენს სოციალისტურ სინამდვილეს და სცენიური ტიპებისა და მათი ურთიერთობის ასახვის დროის მხოლოდ საკუთარ „გამომგონებლობას“ ემყარება.

ცხადია, რომ ამის შედეგად შეცურდებელი ხდება რეალისტური წარმოების შექმნა, რომელიც სინამდვილით და სიმართლით ასახავს ჩვენს უდიდეს ეპოქას. ცხადია, რომ ამის შემდეგ ძნელი ხდება დადებითი პერსონაჟების ბოლშევიკურად გააზრება.

ბევრ პიესაში უხამისობის მაგალითებია მოცემული განსხიერებული ტიპების ურთიერთობაში, კერძოდ ქალისა და მამაკაცის, ასადგან დრამატურგი ზოგჯერ საქმაოდ არ იცნობს და არ აქვს შეთვისებული სოციალისტური საზოგადოების ზნეობრივობა, სრულიად განსხვავებული ბურუუზიული მორალისაგან. ამიტომ დრამატურგი ამასინჯებს სიყვარულის, მეგობრობის და ადამიანის სხვა გრძნობების გამოსახულებებს.

უკანასკნელ ხანებში ჩვენმა დრამატურგებმა მრავალი პიესები მოვცეს ქართველი ხალხის ისტორიული წარსულიდან, როგორც ბელეტრისტულ ნაწარმოებებიდან გადაკეთებული ისე ორიგინალური. მარტო გიორგი საკაძის შესახებ სამმა ავტორმა დაწერა პიესა.

ავტორები ცდილობენ ისტორიული თემები დაუკავშირონ სოციალისტურ ეპოქის საკითხებს, უმთავრესად საბჭოთა პატრიოტიზმს.

მოსაწონია ისტორიული წარსულისაგრძი ასეთი დიდი ინტერესი, მაგრამ ამავე დროს არ შევგიძლია ხაზი არ გაუსვათ იმ ფაქტს, რომ ისტორიული ორმატიკის სიჭარბე, მისი ღია ხელითი წონა თეატრების რეპერტუარში, თანამედროვე თემატიკის ნაწარმოებების დაწერას და განსახიერებას მეორე ხარისხოვან ამოცანათა ხდის. პატრიოტიზმის გამოსახვაც ზოგჯერ ამ პიესებში მეტად ყალბია და იათვასინი და ვერ აღწევს მაყურებლამდე მხატვრულ პოლიტიკური სიძლიერით. დრამატისტული ნაწარმოებებით საბჭოთა პატრიოტიზმის პოპაგანდა უფრო მისახვედრით და სარგებლივნი, თუ ისინი თანამედროვე თემაზე იქნება აგებული. ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში მრავალი ფაქტები გვაქვს უძინეს თავგანწირვისა სოციალისტური მშენებლობისათ-

յոն, Տամաթելու դապրուստցուն, լուսնինշուհի-սկրալունց քարտուս ամռանատա Շե-  
սկրալունցիսատցուն, մաշրամ ամ տայմեծն մըրու մշառօնի, մշուն Շեմովմեղեցնոտու սին-  
հո սկզիրդեցա դա տարութեանց դապրունօնմօլու դրամաթուրցո, մոռօն հա հայ-  
լու թինառմեցնօնատա ցիտ, ար քմնու ասու նաֆարմուցնուն, ան քմնու ուսուու  
մժարու Սահուսա, հոգորու մացալուտագ ց. մուզանու „սամթունցու“.

Իզեն ույատիրալուրու գրութիպա-ց Ցողցըր ցալմարեպալուն յեծոտ երևու  
սիրոնի դրամաթուրցու տարութամշառուցնուն. Կալուալու „մեթունցու“ ամ Մեթու-  
նցուամի Սիրուրու դատցու սամսախուրու սիրուցնուն դրամաթուրցուն դա ույատիրեցն,  
աճունեցն հա մատ Շեմովմեղեցնոտու Շեսամլունցուն.

Ծամախասուաւեցնուն յուկանասինցուն յունցունու դրամաթունց նաֆարմուցնուն,  
հոմլուն Շեւցացնուն Շեսահեծ բրոնիս իզեն յուրնալուն թինամեցնարու նոմերմու  
աչուցնուն.

Կոնցուհունց թարմալցնուն օցու 120 որոշունալուրու Յոյսա, հաց տացուստա-  
վագ մովմոնի սպարուու յարունու սածքուտա դրամաթուրցուն Ցործուն. Եցորու  
աչուրուեցն, հոմլունց գորուցնուն գորուցնուն դրամաթունց նաֆարմուցնուն Շեյի-  
նատ, յուլավու ոինենց նուու դա օրորուցքանց յինեն այցանունու Շեմուցնուն մեցն-  
մեցնունուու ցանցուտարուեցնուն երլուն Շերինոնիս մոխնուն.

Մաշրամ ալսանունշանու, հոմ յունցունուն մոխաթիունուն ան մուռու Եցորու  
Շիցու պատունու դրամաթուրցուն.

Յոյսեցնուն գուգու նաֆունու օստորունց տայմեծնու լուսիրունու. յս Շեւցացնուն  
մովմոնի դրամաթուրցուն նամցուն ուստիպանու յրուցար տարութամշառուցնուն  
դա սակուալուսին սինմացունուն ամսահցուն դրամաթունց նաֆարմուցնուն.  
Եցուրունուու թինուն սոսյուստըւն.

Սայահուցելուն սածքուտա միջուլցնուն յազմունու դառներուսեթունուա ամ գուգու  
սակուտետ. ամս թինաց ման հաստիս միջուլցնուն տօնունուն սայալոյու յուրու,  
հոմելուն սամ գոյու ցաշրմելուն. ամ յուրուանց յինա ալնունցուն իզեն դրա-  
մաթուրցուն նեմուսենցնուն մոհուտաց նայու.

— Ամեանացմա լուցրունու Եցորու տացուն մոխենցնուն սայահուցելուն կոմպունու-  
նուն Վարտունու (ձ) XI յրունունանց մոցուտուտա ամաց սակուտետուն Շեսահեծ:

„սուցուալուսին սինմացունուն տանամելուրուցնուն ստիվա ամեանացմա Եցորու  
— սայմատ սրուլ յամուսաթուլցնուն զյու Ցուլուն մեաթուրուլ լութիրաթուրամի. Սայ-  
ահուցելուն սածքուտա միջուլցնուն ամռանա Մեավուն յս ճանայլունուն. մեաթու-  
րուլ նաֆարմուցնուն մտացար յմուրաց յոնց ցանցու սկրալունց յըոյս աջամօւ-  
նու, մուսու ցանցուն, մուսու անուն դամոյունցնուն ցանցու յարութուսալուն, Վաթրուո-  
ւունուն մուսու մեսուրուալու ցրոնուն դա յուսանցուրու յրուցալուն լունու-սկրալունու  
Վարտունուու սայմուսալուն.“

յս ամռանա Շեւցայիշնուու Շեսահունցուն իզեն միջուլունուն մոյր.

Սակուրու, հատա յունունանց յուցունուս սածքուտա միջուլցնուն յազմունու դա մո-  
սմա դրամասեյպուամ յամուրուցնուն ամռանաց դասախուն դրամաթուրցու յուցունուն  
ցու թայիշնուն տանամելուրուց յինահուսուն մալալ-լուրսեցնուն դրամաթուրուն նա-  
ֆարմուցնուն միջուն Սայմենցնուն.

Սակուրու իզենմա ույատրուեցնուու յամուրու յամուրու յամուրու յամուրու յամուրու  
դրամաթուրցնուն և երլու Շերինուն ասուու Յոյսեցնուն իզուրու Սայմելու. յից յու-  
նու օրունունուս, հոմ եմու Շեմուտեցնուն տարու ույատրուեցնուու յինեն տարութամ-

შვიდებასა და თვითდენასა და ავიტყლებათ თანადროულობის ასახვის უდიდესი ამოცანები თეატრალურ ხელოვნებაში.

ზოგიერთი თეატრი მრავალ „ობიექტიურ“ მიზეზებს ეძებს, რომ გაამართლოს ესა თუ ის დაფუძნა, რომელიც არსებითად საბჭოთა მაყურებლისათვის ზოგჯერ არ არის საკუთრივი მისაღები.

ასეთ მოვლენებს თეატრების მუშაობაში ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი პარტია და ხელისუფლება მოითხოვს დრამატურგიისაგან და თეატრებისაგან თანამედროვე სოციალისტური ცხოვრების ასახვას. ჩვენი საბჭოთა მაყურებელი, რომლის გემოვნება უდიდესად გაიზარდა, რომლის ესთეტიკური მოთხოვნილება სრულიად განსხვავდება ძველისაგან, თეატრისა და დრამატურგიის წინაშე მკაფიოდ სვამის საკითხს, რათა მათ აჩვენონ ჩვენი თანადროულობის ამსახველი შინაარსის მაღალი მხატვრული ღირსების ნაწარმოებები.

ჩვენ პირველ რიგში გვესაჭიროება პირები, რომლებიც მხატვრული და მაჭერებლობით, რეალისტური სიმართლით ასახვენ სოციალისტური ქვეყნის წინავლისათვის მებრძოლ გმირების სახეებს, მათ ახალ ურთიერთობას, მათ თავდადებას ბოლშევიკური დიადი იდეების განხორციელებისათვის.

სოციალიზმის ეპოქა მთელი თავისი მდიდარი შინაარსით უნდა გახდეს დრამატურგთა და თეატრების მიერ ასახვის მთავარ თემად.

ამისათვის კი საჭიროა, რომ ჩვენმა დრამატურგებმა, რომლებიც უდავოდ ბოლშევიკური იდეების მხატვრული პროპაგანდისტები უნდა იყვნენ, ზედმიწევნით შეითვისონ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრებანი; უკუაგდონ ზერელე შეხედულება ცხოვრების სინამდვილეზე და საფუძვლისანად გაუცნონ ამ სინამდვილეს; უნდა უცუაცდოთ თვითკმაყოფილება და თვითდენა.

ჩვენმა დრამატურგებმა და თეატრებმა უნდა გვიჩვენონ ფორმით და შინაარსით პარმონიული, მაღალი მხატვრული ღირსების ნაწარმოები. ამ ნაწარმოებებში გამოყვანილი უნდა იქნენ სტალინური ეპოქის ადამიანების სრულყოფილი სახეები. ამ ნაწარმოებებში გამოყვანილი უნდა იქნეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გრანდიოსტულობა, სოციალიზმის მშენებელთა უდიდესი პატრიოტიზმი და ბრძოლის ენტუზიაზმი ლენინ-სტალინის პარტიის იდეებისათვის, კომუნისტური საზოგადოების საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

# გურია-მონღლეთის ხელოვნების ჩაკარა

20 ოქტომბერს მოსკოვში ს.ს.რ. კავშირის დიდ თეატრის ფილიალში გაიხსნა ბურიატ-მონღლეთის ხელოვნების დეკადა.

დეკადა დაიწყო ბურიატ-მონღლეთის სახელმწიფო მუსიკალურ დრამატიულმა თეატრმა. დადგმული იქნა პირველი ნაციონალური ოპერა „ენე-ბულატ-ბატორი“ („ენე ფოლადის დევ-გმირი“). ოპერის ავტორები არიან დრამატურგი ბალდანო და კომპოზიტორი პროფესორი მ. ფროლოვი. დადგმა ი. თუმანვისა. ნაწარმოები შექმნილია ძველებურ ლეგენდაზე ხალხურ დევგმირის შონა ბატორის შესახებ. ამ გმირის საუკეთესო თვისებები-უშიშროება, თავისი ხალხის სიყვარული, მტერზე გამარჯვებისაკენ მისწრიალება — განსახიერებულია დევგმირი ენეს სახით.

21 ოქტომბერს თეატრმა დადგა მუსიკალური დრამა „ბაირი“ გ. ციდენეაპოვისა და ა. შადაევის. მუსიკა ბ. იაპილოვისა და პ. ბერლინსკის. დადგმა ბურიატ-მონღლეთის ა.ს.ს.რ. სახალხო არტისტის ციდენეაპოვის. დრამის შინაარსი ძველ ხალხურ ლეგენდაზე და ნაციონალურ მუსიკალურ ფოლკლორზეა აშენებული.

22 ოქტომბერს იგივე დადგმა იქნა განმეორებული. ამ სპექტაკლს დაესწრენ ამსახურები: ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოზი, ა. ა. უდანოვი.

23 ოქტომბერს კვლავ დადგმული იქნა „ენე-ბულატ-ბატორი“.

24 ოქტომბერს მუსიკალურ-დრამატიულმა თეატრმა აჩვენა თავისი მესამე დადგმა — მუსიკალური პიესა „ერუენი“. ავტორები ბურიატ-მონღლოლეთის ა.ს.ს.რ. სახალხო არტისტი ნ. ბალდანო და მ. ედელი, მუსიკის მორისტინისა, დადგმა ნ. ბალდანოსი. პიესის თემაა ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, ახალგაზრდობის საქმეები და ცხოვრება

საბჭოთა მეურნეობაში, ჩვენი დროის ახალგაზრდობის ახალი ურთიერთობა.

25 ოქტომბერს კვლავ დადგმული იქნა „ენე-ბულატ-ბატორი“. წარმოდგენა დაიდგა სსრ კავშირის დადგმატიულმა თეატრმა. დადგმული იქნა პირველი ნაციონალური ოპერა „ენე-ბულატ-ბატორი“ („ენე ფოლადის დევ-გმირი“). ოპერის ავტორები არიან დრამატურგი ბალდანო და კომპოზიტორი პროფესორი მ. ფროლოვი. დადგმა ი. თუმანვისა. ნაწარმოები შექმნილია ძველებურ ლეგენდაზე ხალხურ დევგმირის შონა ბატორის შესახებ. ამ გმირის საუკეთესო თვისებები-უშიშროება, თავისი ხალხის სიყვარული, მტერზე გამარჯვებისაკენ მისწრიალება — განსახიერებულია დევგმირი ენეს სახით.

27 ოქტომბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში დეკადის უკანასკნელ დღეს შესდგა კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს: ბურიატ-მონღლოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეატრის სოლისტებმა, გუნდმა და ბალეტმა, ბურიატ-მონღლოლეთის სახელმწიფო ფილარმონიის გუნდმა და ხალხური ინსტრუმენტების ორკესტრმა, ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალურმა ანსამბლმა, ქალაქ ულან-უდეს პიონერთა სახლის საბაზო ანსამბლმა, ევენების ანსამბლმა და ტარბაგატაის რაიონის რუსულმა საკოლმეურნეო გუნდმა. კონცერტი დამთავრდა კანტატით „ხალხთა ბელადს“, რომელიც განსაკუთრებული აღფრთვანებით შეასრულა დეკადის ყველა მონაწილემ. დარბაზში დიდხანს გაისმოდა ოვაცია ხალხთა ბელადის დიდ სტალინის პატივსაცემად.

დეკადამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის საზოგადოებრივობაში: დეკადის ყველა წარმოდგენებს აუარება ხალხი ესწრებოდა და მხურვალე ტაშით აჯილდოებდა და დეკადის მონაწილეთ.

დეკადა იყო ბურიატ-მონღლოლეთის ხალხის ახალგაზრდა ხელოვნების მეტად მნიშვნელოვან წარმატებათა დემონსტრაცია. დეკადის გამოვლინა ბურიატ-მონღლოლეთის მდიდარი ხალხური შემოქმედება. ხელოვნების მუშაკებმა დაგვანახვეს, რომ მათ ყო-

კულტური შესაძლებლობა და პირობები  
მოქმედვებათ შემდგომი ზრდისათვის.

დღევადა ცხადპყოფს სსრ კავშირის ხალხ-  
თა საამური და ცხოველუნარიანი შემოქმე-  
დების აყვავებას, რომელიც კომუნისტური  
პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგი  
სტალინის ხელმძღვანელობით მიმდინა-  
რებობს.

30 ოქტომბერს საღამოთი კრემლში მოხ-  
და დეკადის მონაწილეთა მილება.

კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარ-  
ბაზში 19 საათისათვის თავი მოიყარეს სტუ-  
მრებმა: საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომი-  
ტეტის წევრებმა, სსრ კავშირისა და რსფსრ  
უმაღლესი საბჭოების დეპუტატებმა, სახალ-  
ხო კომისარებმა, წითელი არმიისა და სამხე-  
დრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდ-  
ლობის წარმომადგენლებმა, წარჩინებულ  
სტახანოველებმა, მეცნიერებმა, ლიტერატუ-  
რის, ხელოვნებისა და ტექნიკის გამოჩენი-  
ლმა მოღვაწეებმა.

ამხანაგების ი. ბ. სტალინის, ვ. ბ.  
მოლოტოვის, კ. ე. ვოროშილო-  
ვის, ლ. მ. კაგანოვიჩის, მ. ი. კალი-  
ნინის, ა. ა. ანდრეევის, ნ. მ. შვერ-  
ნიკის, გ. მ. მალენკოვის დაბაზში  
გამოჩენას დამსტრენი მქუსარე ოვაციით  
ხვდებიან. რამდენიმე წუთს გრძელდება  
ოვაციები ამხანაგ სტალინისა და მის  
თანამებრძოლთა მისასალმებლად. დიდხანს  
არა სცხრება „ვაშას“ გრიალი და შეძახი-  
ლები რუსულ და ბურიატ-მონღოლურ ენა-  
ზე ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

მოკლე შესავალი სიტყვით გამოდის სსრ  
კავშირის საქმისაბჭოსთან არსებული ხე-  
ლოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომა-  
რე ამხ. მ. ბ. ხრაპხენკო, რომელიც თავის  
სიტყვაში აღნიშნავს საბჭოთა ქვეყნის ხე-  
ლოვნების უდიდეს წარმატებებს. იგი სიტ-  
ყვას ამთავრებს შემდეგით:

„ეს წარმატებები ჩვენი სოციალისტური  
საშობლოსათვის სიხარულისა და სიამყის  
გრძნობას გვინერგვენ. ისინი იწვევენ უღ-  
რმესი მაღლობის გრძნობას იმის მიმართ,  
ვანც საბჭოთა კავშირის ხალხებს აღაფრითო-  
ვანებს დიადი საქმეებისათვის, ვისაც ახალ-

ახალი გამარჯვებისაკენ მიჰყავს ჩვენი ქვე-  
ყანა, — ამხანაგ სტალინის მიმართ.

ამხანაგ სტალინის სახელი აღფრითოვა-  
ნებულ ოვაციას იწვევს დარბაზში. ოვაცია  
რამდენიმე წუთს გრძელდება.

სიტყვას ამბობს ბურიატ-მონღოლეთის  
სახელმწიფო მუსიკალურ-დრამატიული თეა-  
ტრიის დირექტორი ამხ. მ. მ. სიღლენვი.

— ვიმყოფები რა აქ, კრემლში, პარ-  
ტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან,  
საბჭოთა კავშირის ხალხთა და მთე-  
ლი მსოფლიოს მშრომელთა ბელად დიდ  
სტალინთან ნერთად, — ამბობს ამხ. სიღლე-  
ნვი, — მე არ ძალიმის სიტყვით გამოვთქვა  
სიხარულისა და ბელნიერების ის უდიდესი  
გრძნობა, რომელსაც ამჟამად ბურიატ-მონ-  
ღოლური ხელოვნების დეკადის ყველა მო-  
ნაწილე განიცდის.

წინათ დაჩაგრული, დაბეჩავებული და  
გადაშენების ზზაზე დამდგარი ბურიატ-მონ-  
ღოლი ხალხი ახლა ბელნიერ, საამურ ცხოვ-  
რებას ეზიარა. დიდი რუსი ხალხის დახმა-  
რებით იგი აღორძინდა, კულტურული გახ-  
და, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყვე-  
ლა ხალხები. ბურიატ-მონღოლი ხალხი გა-  
მოსთვევას და მღერის სიმღერებს თავის  
ბელნიერებაზე, თავის სამშობლოზე, ხალხთა  
დიდ ბელადზე — ამხანაგ სტალინზე და  
მის თანამებრძოლებზე. ბურიატ-მონღოლმა  
ხალხმა გამოვგზავნა ჩვენ, რათა გვეჩვენე-  
ბინა მოსკოვში ჩვენი ხელოვნება. აქ ნაჩვე-  
ნები სპექტაკლები მხოლოდ დასწყისია დი-  
დი მუშაობისა ბურიატ-მონღოლეთის თეატ-  
რალური და მუსიკალური ხელოვნების გან-  
ვითარებისათვის.

ყველა დამსტრის უდიდესი აღფრითოვანე-  
ბას და აღტყინებას იწვევს ამხ. სიღლენვის  
მიერ საბჭოთა ხელოვნების საუკეთესო მე-  
გობრის — ამხანაგ სტალინის პატივსაცე-  
მად წარმოთქმული სადღეგრძელო. ყველანი  
ფეხზე დგებიან. დღიდანს ჰქონდა აღფრითო-  
ვანებული ოვაცია და გაისმის მძლავრი „ვა-  
შა“.

შემდეგ სიტყვას ამბობს ბურიატ-მონღო-  
ლეთის სახელმწიფო მუსიკალურ-დრამა-  
ტიული თეატრის ერთერთი დამთარებელი

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ სახალხო არტისტი გ. ც. ციდენევაპოვი.

ამთავრებს რა თვეს სიტყვას, ამხ. ციდენევაპოვი მხურვალედ მიესალმება ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, საბჭოთა მთავრობის საყვარელ მეთაურს — ვიაჩეს სლავ მიხეილის-ძე მოლოტოვს. ყველა დამსწრენი ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ივაციით მიესალმებიან ამხ. მოლოტოვს.

სიტყვა ეძლევა ბურიატ-მონღოლეთის ასსრ აუსტუბლიერის დამსახურებულ არტისტს ნ. ვ. ტაროვს.

ამხ. ტაროვმა დამსწრეთა ტაშის გრიალში დიდი აღტყინებით უსურვა დღეგრძელობა დიდ, გმირ რუს ხალხს და მის ერთერთ საუკეთესო შვილს—უხუცეს რევოლუციონერს და ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, მიხეილ ივანეს-ძე კალინს.

მიღება რამდენიმე საათს გაგრძელდა. სტუმრებისათვის დიდი კონცერტი გაიმართა. ვრცელო პროგრამა, რომელსაც ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნ. გ. ბალდანო და ი. ლ. ლეონტიევი უძღვებოდნენ, შესდგებოდა ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების დეკადის მონაწილეთა და დედაქალაქის ყველაზე გამოჩენილ არტისტთა გამოსვლებისაგან.

სსრკ უმაღლეს საბჭოს 31 ოქტომბრის

1940 წ. ბრძანებულებით ბურიატ-მონღოლეთის სახელმწიფო მუსიკალურ დრამატული თეატრის შესახიშნავ წარმატებების გამო დაჯილდოვებული იქნა ლენინის თარღინით.

ლენინის თარღინით იქნა დაჯილდოვებული თეატრის მხატვრული ხელმძღვანელი გომბო ციდენევაპოვი და მას მიენიჭა სსრკ-ს სახალხო არტისტის სახელშოდება.

შრომის წითელი თარღინით დაჯილდოვებული იქნენ 10 კაცი, მათ შორის დრამატურგი და რეჟისორი — ნამეილ ბალდანო, მსახიობი ნაიღან გეღუნოვა, მსახიობი ნადეჟდა პეტროვა და სხვანი.

საპატიო ნიშნის თარღინით დაჯილდოვებული იქნენ 18 კაცი, შრომის წარჩინების მედალით — 37 კაცი.

სსრკ სახკომისაბჭოს დადგენილებით დეკადის ყველა მონაწილეთ შეიცავ ჭილდოთ თრონი თვის ხელფასი.

ბურიატ-მონღოლეთის ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის სახალხო ხელის შეწყობის მიზნით სსრკ-ს სახკომისაბჭომ დაადგინა დამტკიცდეს ასაშენებლად 1941-42 წლებში ქ. ულან-უდეში შენობა მუსიკალურ-დრამატიული თეატრისათვის 800 ადგილით, 7 მილიონ მან. სახარჯთალიცხვი ღირებულებით. დამტკიცდეს ასაშენებლად ქ. ულან-უდეში საცხოვრებელი სახლი ხელოვნების მუშაკთათვის და სახელოსნოები მხატვართათვის და სხვ.

## თანამედროვეობა ჩაიაგურისა და თეატრი

რეპერტუარი მეუღლავნებს დრამატურგისა და თეატრის აკცენტის ანობას. როცა დრამატურგი და თეატრი გარკვეული და ერთიანი მიზანსწრაფვით მუშაობენ, მაშინ ისენი უპირველესად ყოვლისა, თავის თანამედროვეობის, თავის დროის ადამიანისა და მისი ცხოვრების სიმართლით წარმოსახვის ძალას იჩენენ. თუ თეატრს თანადროული ცხოვრების სიმართლით ამსახველი დრამატურგია ასაზრდოებს, მაშინ სასცენო ხელოვნება იზრდება და ვითარდება, მაყურებელს იზიდავს და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწინავე ძალად იქცევა.

გიორგი ერისთავის რეალისტური თეატრი, მიტომაც იქცა მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ძალად, რომ მან, მისი თანადროული ცხოვრების სიმართლით ამსახველ დრამატული მწერლობით ჩაიდგა სული, იმით გაიზარდა და მისით მოიხვეჭა მაყურებელის სიყვარული. თავის თანადროულობის გამომსახველ ორიგინალურ რეპერტუარზე აღზარდა ამ თეატრმა რეალისტური სკოლის მსახიობთა შესანიშნავი თაობა.

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თეატრის (1879 წ. განახლებული პროფესიული სცენის) წარმატებაც იმით იყო გამოწვეული, რომ ქართულ სასცენო ხელოვნების განახლებით, თვით ილიას სიტყვით, რომ ვთქვათ, „ქართულ ლიტერატურას კარი გაეხსნა სცენისათვის და ნება მიეცა სცენიდგან საზოგადოებისათვის ქადაგება-მოძღვრებისა“. მწერლობა თავდადებით ემსახურებოდა თეატრს და მას რეპერტუარით უზრუნველყოფდა. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, რაფიელ და დაშით ერისთავების, ა. ცაგარელის, ივ. მაჩაბელის, ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის და სხვ. მიერ შექმნილი ორიგინალური და თარგმნილი, თანამედროვეობის

წარმომსახველი და კლასიკურ ნაწარმოებთა შემცველი რეპერტუარი ღირსეულად ემსახურებოდა „საზოგადოების ზეობრივად აღზრდის და გაწრთვნის“ იმ ამოცანას, რომელიც თეატრს ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებმა დაუსახეს. თუ რამდენად რიგიანი იყო ეს რეპერტუარი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ სწორედ ამ რეპერტუარზე მუშაობით გამოვლინდა, აღიზარდა, გაიწრთვნა და მომზიფდა სახელოვან ქართველ მსახიობთა კრებულის (ნ. გაბუნიას, მ. საფაროვი-აბაშიძის, ლ. მესხიშვილის, კ. ყიფიანის, კ. მესხის) უკვდავი ნიჭი და დაუვიწყარი ოსტატობა.

თეატრის საზოგადოებრივი როლი დაუკინდა და სცენაც დაქვეითდა, როგორც კი მის რეპერტუარს თანამედროვეობის ასახვის ცხოველყოფელობა მოაკლდა. ცრუისტორიულ-ნაციონალისტურმა პიესებმა, მდარე მელოდრამებმა და გონება-მახვილობას მოკლებულ ვოლევილებმა გამოაცარიიელეს თეატრი და აქტიორულ ოსტატობასაც მოაკლეს აღრინდელი ძალა და ბრწყინვალება. ეს, განსაკუთრებით საგრძნობი შეიქნა პირველი რევოლუციის შემდეგ, რეაქციის დროს და მენევიცების ბატონობისკ წლებში.

მაშასადამე თეატრის ისტორიაც იმას გასწავლის, რომ სასცენო ხელოვნების წინსვლა და წარმატება, უპირველეს ყოვლისა მისი რეპერტუარის თანადროულობისაგან არის დამკიდებული. იმიტომაც არის, რომ რეპერტუარის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და როგორც კი თეატრის საკითხი აღიძგრის, უწინარეს სხვისა მის სულიერ ძალ-ღონეს ე. ი. თანამედროვეობის ამსახველ მის დრამატურგიას გაიხსნებენ, ასწონდასწონიან და განსჯიან.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის პი-  
რობებში სარეპერტუარო საკითხები განსა-  
კუთრებულ ყურადღებას იძყრობენ. სახელ-  
მწიფო, საკოლმეურნეო საუწყებო თეატრე-  
ბისა და ოვითმომქმედ დრამატიული წრეე-  
ბის ფართოდ გაშლილი ქსელი საჭიროებს  
მაღალიდეური და მაღალმხატვრული რე-  
პერტუარით საჩრდოობს, რათას სასცენო ხე-  
ლოვნებამ ლირსეულად შეასრულოს თავის  
საპატიო მოვალეობა, როგორც მასების კო-  
მუნისტური აღზრდისა და პროპაგანდა-აგი-  
ტაციის მნიშვნელოვანნა იარაღმა.

ქართულ თეატრს, მისი ხანგრძლივი ის-  
ტორიისათვის არნახული გასაქინი და შე-  
საძლებლობა მიეცა სოციალიზმის გამარჯ-  
ვების პირობებში, განსაკუთრებით კი, უკა-  
ნასკელი 7-8 წლის განმავლობაში, როდე-  
საც საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავი მოა-  
მგის ამხანაგ ლაცრუნტი ბერიას მზრუნ-  
ველობის შედეგად, საქართველოს საოპერო  
და დრამატიულმა თეატრებმა იმდენად დი-  
დი მიღწევები მოიპოვეს და წარმატება ნა-  
ხეს, რომ საბჭოთა კავშირის მოწინავე თეა-  
ტრთა რიგში ჩადგნენ. ქართული საბჭოთა  
ხელოვნების როლი, წონა და მნიშვნელობა

დიდათ გაიზარდა. საქართველოს მოწინავე  
თეატრების სპექტაკლები მაყურებელს პოუ-  
ლობენ არა მარტო საქართველოში, არამედ  
თვით მოსკოვში, ლენინგრადისა, კიევსა,  
სარკოვსა, ბაქოსა და ერევანში. სახელოვნ  
ქართველ საბჭოთა მსახიობების, დრამატურ-  
გების, მხატვრების, რეჟისორების და კომ-  
პოზიტორების შემოქმედება მოქცეულია  
მთელი საბჭოთა კავშირის ყურადღების  
არეში. ქართველ კომპოზიტორთა ოპერები  
უკვე საპატიო ადგილს იქცერენ საბჭოთა  
კავშირის საოპერო თეატრების რეპერტუარ-  
ში: მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე წარ-  
მატებით სრულდება ზაქარია ფალიაშვილის  
„აბესალომ და ეთერი“, ლენინგრადში იდ-  
გმება ა. ბალანჩივაძის ბალეტი „მთების  
გული“, მოსკოვსა და კიევში იღვება „დაი-  
სი“. ბევრ ქალაქებში სდგამენ ვ. დოლიძის  
„ქეთოსა და კოტეს“. ქართველ პოეტებს,  
დრამატურგებს, რეჰისორებს, მხატვრებს,

კომპოზიტორებს, ქორეოგრაფებს თბილისი-  
დან იწვევენ მოსკოვსა და ლენინგრადში,  
კიევსა და ბაქოში, სვერდლოვსკსა და ერე-  
ვანში ძმური შემოქმედებით თანამშრომ-  
ლობისათვის კინ-ფილმების, საოპერო  
სპექტაკლების შესაქმნელად. ერთი სტ-  
უდით ქართულ ხელოვნების არნახული  
დიაპაზონი აქვს, ქართველ საბჭოთა ოსტა-  
ტების სარბიელი საარაყოდ გაიზარდა. სარ  
კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის  
ატმოსფეროში, ძმური შემოქმედებით ურ-  
თიერთობის პირობებში ყოველი ოსტატის  
შხატვრული ნაწარმოები საბჭოთა კავშირის  
ხალხთა საერთო და საყვარელ კუთვნილე-  
ბად იქცევა. ეს გარემოება არა ჩვეულებრი-  
ვად ზრდის ყოველი შემოქმედი მუშაკის  
პასუხისმგებლობას, მოითხოვს მთელი და-  
ბადვით, გატაცებით მუშაობას, რათა ერთი  
წუთითაც არ იქმნას შეფერხებული ის ალ-  
მასკოლა, რომლითაც ქართული საბჭოთა ხე-  
ლოვნება სსრ კავშირის ხალხთა საერთო  
დიადი შემოქმედების მაგისტრალურ გზაზეა  
გამოსული.

საქართველოს საბჭოთა სასცენო ხელოვ-  
ნების მიღწევებში საბჭოთა მშერლობას თა-  
ვისი დიდი წვლილი აქვს, თეატრებისათვის  
ახალი რეპერტუარის შექმნით. შალვა და-  
დიანის „ნაპერწყლიდან“, ს. კლიამაშვილის  
„გმირთა თაობა“, პ. კაკაბაძის „კოლმეურ-  
ნის ქორწინება“, ი. ვაკელის „შური“, ნ. მი-  
ქავს და გ. აბაშიძის „ბეღნიერება“ იმის  
მაუწყებელია, რომ ჩვენს დრამატურგის ძა-  
ლა შესწევს იყოს სოციალისტური სინამდვი-  
ლის, თანამედროვე ცხოვრების, კომუნიზმის  
შენებელ ადამიანების გმირობისა და თავ-  
დადების გამომხატველი.

სოციალისტური სინამდვილის სიმართ-  
ლით და მხატვრული სისავსით ასახვა, კო-  
მუნიზმის შენებელ ადამიანთა ტიპიურ გა-  
რემოცვაში ტიპებად გამოხატვა მოითხოვს  
მხატვრისაგან მარქსისტულ-ლენინური თეა-  
ტრით შეიარაღებას, ცხოვრების დიდ ცოდ-  
ნას, დიდ კულტურას, ახალ შემოქმედებით  
ამოცანების ახლებურად გადაჭრისათვის  
აუცილებელ ვამხედობას.

შალვა დადიანის პიესა „ნაპერწელილან“ სწორედ ნამდვილი შემოქმედის გაბეღვით არის დაწერილი, მასში სჩანს ახალი შემოქმედებითი ამოცანის ახლებურად გადაჭრის უნარი. ტიპიურ გარემოცვაში ახალგაზრდა ბელადის ამსახველ ამ ნაწარმოების მთელი რიგი სცენები მხატვრული განსახიერების სრულყოფით, დიდი მხატვრული ტექტით და ზომიერების გრძნობით არის ნაწერი.

ახალი ამ ნაწარმოებში ის არის, რომ დრამატიკული ნაწარმოების მთავარ მომქმედათ, მოქმედების წარმართველ ძალად გამოყვანილია სწორედ ის ადამიანები, რომელთაც ძველი დაამხეს, განაცამტვერეს და სოციალიზმს გმირული და თავდადებული მუშაობით გამარჯვება მოუპოვეს. ამიერკავკასიაში ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და განმტკიცებისათვის ამხანაგ სტალინის ბრძოლისა და მუშაობის ამსახველი ეს პიესა საეტაპო ნაწარმოებია ქართულ საბჭოთა დრამატურგიაში.

3. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“ თანამედროვეობის ასახვისა და დრამატურგის ახალ ამოცანათა ახლებურად გადაჭრის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია. ავტორმა შესძლო კომედიის ცენტრში, მთავარ მომქმედ პრიად, დაცებითი პერსონაჟი გამოეხატა. ამით მან თავის შემოქმედების ცხოველი ძალით უარყო და დაარღვია ყალბი შეხედულება, თითქოს კომედია მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი პერსონაჟების სარჩიელი იყოს. თანამედროვე დრამატურგია მეტად სქემატიურად ხატავდა სოციალისტური. მშენებლობის მონაწილე ქალის სახეს და ამ მხრივაც, დრამატურგმა ახალი და დამაგრებელი სახე შემატა ჩვენს სასცენო ხელოვნებას და მსახიობ ქალებს მოუპოვა მეტად საინტერესო როლი. მართალია, კომედიას აქვს ნაკლი, გვირისტინებს გარემოცვას აკლია ტიპიურია და კოლმეურნეობის თავმჯდომარის დადებითი პერსონაჟი ჯამლეთი სქემატიური და უფერულია ხარიტონთან შედარებით, მაგრამ კომედიის ძირითადი ტენდენცია, საკოლმეურნეო სო-

ფლისათვის ტონის მიმცემი სტანცოველი ქალის სახის შექმნით, სწორია და ახლებური და ეს ჯანსაღი ტენდენცია გაგრძელებას და განვითარებას მოითხოვს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პიესა სახიერების მქონე, გონებამახვილობით გაბრტყინვებული სადა ქართული ენით არის დაწერილი და სასცენო მეტყველებისათვის ძვირფას მასალას წარმოადგენს.

ვფიქრობ, კრიტიკმ რამდენიმეთ შეუფასებლობა გამოიჩინა ნ. მიქაელის და გ. აბაშიძის პიესისაღმი. „ბეღნიერება“-ც სწორედ ჩვენი დრამატურგიის მიერ თანამედროვეობის ასახვისა და ახალი ამოცანების ახლებურად გადაჭრის თვალსაზრისით არის საინტერესო. ავტორები სცილდებიან შტამპს, ტრაფარეტს და ესწრაფვიან ახალი ცხოვრების გამოსახვას ახლებური ხერხები მოუპოვონ, ისინი ახალ დრამატურგიულ ფორმას ეძებენ ახალი შინაარსობრივი მასალასათვის. ავტორების ეს ტენდენცია, როგორც მათი პირველი გაბედული ცდა, უთუოდ მხარდასაჭერია. ნ. მიქაელის და გ. აბაშიძეს პიესა ისე აქვთ დაწერილი, რომ მასში არც მტრისა და არც ურყოფითი პერსონაჟი არ არის, და მიუხედავათ ამისა მოქმედება მაინც დრამატიზმით არის განვითარებული, მთელი ნაწარმოები გამთბარია ახალი ცხოვრების, კომუნიზმის მშენებელი ადამიანების ერთმანეთისადმი წრფელი მეგობრობისა და პატივისცემის ფაქტიზი გრძნობით. საკოლმეურნეო სოფელი ამ პიესაში გამოიყურება თავის ნამდვილი სახით,—ახალი ადამიანებით, ახალი ჯანსაღი დამკადებულებით ურთიერთისადმი, შრომის სიხარულით, ინტელიგენციის ახალი კადრებით, მოხუც კოლმეურნეთა ამაღლვებელი სახეებით. ამ პიესაში კარგათ არის განვითარებული მშრომელი ადამიანისაღმი სტალინური მზრუნველობის თემა, ნათლად არის გამოხატული ის დიდი შესაძლებლობანი, რომელიც ადამიანს გაეხსნა სოციალიზმის პირობებში თავის ნიჭის განსავითარებლად, თავის შესაძლებლობათა გამოსაყენებლად. ავტორები კარგად ახერხებენ ადამიანთა ურ-

თიერთობის ყველა მაფების ერთ საერთო კვანძში თავმოყრას და შემდეგ მის საინტერესოდ გახსნას.

პიესას ნაკლიც აქვს. ავტორებს განსაკუთრებით გულმოლგინებით მართებთ მუშაობა, რათა ყოველ პერსონაჟს სრული მხატვრული სახიერებით მეტყველი სიტყვა გააჩნდეს. ერთი რამ კი ცხადია, რომ ამ ავტორებმა დიდი უნარი გამოიჩინეს სოციალისტური სინამდვილის, ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანთა სიყვარულით და სიმართლით გამოხატვისა და დასანახებულია, რომ ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრის სრული შესაძლებლობით არ იყო სპექტაკლად განხორციელებული.

ჩვენ სრულიად არ გვინდა ღავამციროთ ის მიღწევანი რაც ქართულ საბჭოთა დრამატურგიას გააჩნია, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ დრამატიულ მწერლობაში, თეატრის სცენაზე, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება, ამ ცხოვრების წარმართველ მოწინავე ადამიანთა ბრძოლა და მუშაობა მთელი სისრულით არ არის გამოხატული. ეს გარემოება ჭერ კიდევ სამი წლის წინად იყო აღნიშნული ამხანაგ ლ. ბერიას მიერ საქ. კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობაზე „სოციალისტური სინამდვილის თანამედროვე ცხოვრებას, —სთქვა ამხანაგმა ლ. ბერიამ, — საქმაო სრულ გამოხატულებას ვერ პოულობს მხატვრულ ლიტერატურაში. საქართველოს საბჭოთა მწერლების ამოცანაა შეავსონ ეს დანაკლისი. მხატვრულ ნაწარმოებთა მთავარ გმირად უნდა გახდეს სტალინური ეპოქის აღამიანი, მისი განცდები, მისი ახალი დამკიდებულება გარემოსადმი, პატრიოტიზმის მისი მხურგალე გრძნობა და უსახლვრო ერთოულება ლენინსტალინის პარტიის საქმისადმი“.

საქართველოში 53 სახელმწიფო, საკოლმურნეო და სსოწყებო თეატრია, ასობით თვითმომქმედი დრამატიული წრეები და ყოველწლივ მათი რეპერტუარი განახლებას და შექსებას მოითხოვს. განსაკუთრებით საჭიროა მათი საზრდოობა თანამედროვეობის ამსახველი, ცხოვრებისათვის ტონის მი-

მცემ საბჭოთა ადამიანების გამომხატველი პიესებით. ჩვენი დრამატურგები კი ჯერ კიდევ სრულად ვერ ასაზრდოებენ ჩვენს თეატრებს. ზოგიერთი პიესები, რომელიც დაიდგნენ ჩვენი თეატრების სცენაზე, აშენავებენ ჩვენი დრამატურგების სინამდვილიდან ჩამორჩენას,—რაც იმაში გამოიხატება, რომ მწერალი ვერ ახერხებს გამოხატოს ჩვენი დროის დადებითი ადამიანის ტიპი, მისი ქმედობა და მისწრაფებანი, მისი ტიპიური გარემოცვა.

სანდრო შანშიაშვილის პიესა „ფოლადაური“-ს მთავარი ნაკლი სწორედ ის არის, რომ მასში არ სჩანს საკოლმურნეო ცხოვრების წარმმართველი ძალა, ახალი ცხოვრების შეენებელი ადამიანის ტიპი, მისი ხასიათი და მისთვის დამახასიათებელი გარემოცვა. გიორგის სახე პიესაში მეტად შესლეა, უნიათო, ის მოქმედების გარეშე არის დაყენებული და სცენიურ განსახიერებისათვისაც არავითარ ანტერესს არ აღძრავს.

ს. კლდიაშვილის გონებამახვილურად დაწერილ „გრაფის ქვრივისაც“ სწორედ ის ნაკლი აქვს, რომ მასში კომუნისტის იოზეფის სახე მეტად მქრთალად და ეპიზოდურათ არის ჩაწერილი, ბოლშევიკისათვის შეუფერებელი ქცევით და იმ ორიოდე სიტყვითაც, რომელიც მას ღრამატურგმა არგუნა, იოზეფი კაპიტალისტურ ქვეყნებში გმირულად მებრძოლი კომუნისტის სახეს ოდნავათაც არ გამოხატავს.

მარჯანიშვილის სახ. თეატრში დადგმული „ანრი სეარ“ იმდენად საკომპანიოდ იყო დაწერილი, რომ ავტორებს ოთხერ, თითქმის ყოველ სამი თვის შემდეგ, უხდებოდათ ახალ ვითარებასთან შეუებით მოქმედების აღილის ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადანაცვლება და მომქმედ პირთა ერთი კალმის მოსმით გადანათვლა. ერთი სიტყვით ავტორები თავიანთ პერსონაჟებს ტანსაცმელივით უცვლიდნენ ეროვნებას, სახელს და ხასიათს.

ამ პიესაში სახეები იმდენად ხელოვნური და არა დამაჯერებელია, რომ მსახიობი ვ-გოძიაშვილი იძულებულია საესტრადო გა-

მოცდილება და უნარი გამოიყენოს მაყურებელის ყურადღების შისაზიდათ. ამ პიესის ავტორებს უთუოდ ნიჭი და უნარი შესწევთ, მათთან თეატრმა უნდა იმუშაოს, მაგრამ სრულიადაც არ არის საჭირო და სასარგებლო მათი დრამათმცემულობაში წაქეზება.

უკანასკნელ ხანებში რეპერტუარის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით ისმება. უნდა ისიც აშკარად ითქვას, რომ ზოგჯერ რეპერტუარის შედგენა-შერჩევისას მხედველობაში არ არის მიღებული თუ, რით მოეხმარება უსა თუ ას პიესა თეატრს, მასების კომუნისტური აღზრდის პროპაგანდა-აგიტაციის ამ მნიშვნელოვან იარაღს.

ამ მხრივ კრიტიკა, ვერ იჩენს ზოგჯერ საქმაო პირდაპირობას და ვარკვეულობას და იმის ნაცვლად, რომ პიესების სწორი და მიუღომელი შეფასებით თეატრებს დაეხმაროს რეპერტუარის სწორად წარმართვის საქმეში, ზოგჯერ, შეუფერებული გამოსვლებით დეზორინტაციას ახდენს.

უთუოდ ცუდია და უნდა უკუვაგდოთ კრიტიკოსისათვის ყოვლად შეუფერებული კუევა, როდესაც ავტორთან მორიდების საბაზით, ვაქებთ უვარების ნაწარმოებს ან ვდუმვართ და გუნებაში ამას ვმბობთ: — კარგი არა გვეთქმის რა და ცუდით კი ავტორს არ ვაწყენიებო.

ასეთი ჩვევები ცხადია, ერთხელ და სამუდამოთ უნდა გადავარდეს და კრიტიკოსიც აღარ უნდა იყოს ხელოვნების მუშაკებთან ისეთ ურთიერთობაში როცა, რას პიესის, სპექტაკლის ან აქტიორული შექმნულების დაწუნების შემთხვევაში ავტორისა, რეჟისორისა და მსახიობისაგან ათვალისწუნება მოელის.

ჩვენი დრამატურგიის ჩამორჩენილობის მაჩვენებელი ისიც არის, რომ მეტად მომრავლდა მონტაჟები, — რომანებიდან და მოთხოვბიდან გადმოკეთებული პიესები. რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ! „ნინოშვილის გურია“, „ჩატეხილი ხიდი“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „შემოღვიმის აზნაურები“, „სოლომონ ისააკის მეჯლანუაშვილი“, „ქა-

ჯანა“, „ელეონორა“, „მამელუარი“, „იავნანაშ რა ქნა“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ გადმოკეთებათა არედან ჯერ-ჯერობით გამორიცხულია თანამედროვე პროზის საუკეთესო ნიმუშები. ერთი რამ კი ცხადია, ჩვენს თეატრს უფრო ორიგინალური დრამატიული მშერლობაზე მართებს ყურადღების შეჩერება ვიდრე თავის რეპერტუარის მაკრატილის იმედათ მიშვება.

ცხადია, ჩვენ არ უარყოფთ ჩვენი კლასიკოსების ნაწარმოებთა გამოყენების საჭიროებას, მაგრამ ამით გატაცება და მხოლოდ ამაზე ზრუნვა ჩვენს მშერლობას, სასცენო ხელოვნებას, აქტიორულ თატატობას დაიღს ვერაფერს მისცემს.

ბოლო დროს დრამატურგებსაც და თეატრებსაც ემჩნევათ ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ამსახველი თემებით გატაცება. უშ. ჩხეიძემ, ს. შანშაშვილმა და ი. ვაკელმა დასწერეს პიესა გიორგი საკაძეზე. იწერება და დაწერილია პიესები: „დავით აღმაშენებელი“, „ერეკლე მეფე“, „თამარ მეფე“, „დავით გურამიშვილი“, „ბესიკი“, სამ თეატრში იდგმება „გიორგი საკაძე“, ამას გარდა კიდევ „პატარა კახი“ და მზადდება „დალაზი“. ახლახან ჩატარებულ კონკურსზე წარმოლგენილი პიესების საგრძნობი ნაწილი ისტორიულ თემებზე იყო-დაწერილი. ეს გარემოება იმის მეტყველია, რომ დრამატურგიაცა და თეატრიც ჩამორჩა სინამდვილეს და მეტავნებს სისუსტეს თანამედროვე ცხოვრების შესანიშნავ გმირულ მასალაზე შექმნას პატრიოტიზმის აღმგზნები პიესები და სპექტაკლები.

უკანასკნელ ხანებში თეატრების რეპერტუარს იზიდავს ისეთი პიესები, როგორიცაა ირის „ჭყალი“, „მარგარიტა გოტი“, „მადამ სან-უენ“. ამ პიესებში მართალია, მსახიობებისთვის მომგებიანად არის დაწერილი როლები და შეიძლება მხოლოდ ეს ამართლებდეს მათ რეპერტუარისათვის შერჩევას, მაგრამ საკითხავია, ნუ თუ მსოფლიო კლასიკური დრამატურგიის საუნჯეში სარდესა და დიუმაზე უკეთესი პიესები არ აღმოაჩნდათ შექსპირს, შილდეს, მოლიერს?

ნუ თუ შექსპირს „ოტელოს“ მეტი არა აქვს  
რა დაწერილი? ნუ თუ ვინმე ფიქრობს, რომ  
აქტიორული შემოქმედებისათვის შექსპირი,  
შილერი და მოლიერი ნაკლებ ხელსაყრე-  
ლია, ვიდრე სარდუ და დიუმა? ყოველ შემ-  
ოხვევაში ჩვენმა ღრამატურგებმა ყურად-  
ღება უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, რომ  
მათ პიესებში ქალი მსახიობები ვერ პოუ-  
ლობენ თავის შესაძლებლობისა და ოსტა-  
ტობის შესაფერ როლებს, ამიტომაც არის,  
რომ თამარ ჭავჭავაძე სან-ეენს თამაშობს  
და ვერიყო ანგაფარიძე მარგარიტა გოტიეს.  
ამ პიესების გაცოცხლება ისეთ შთაბეჭდი-  
ლებას სტოვებს თითქოს თეატრები ცალ-  
კულ მსახიობ-გასტროლიორებს ურჩევდეს  
რეპერტუარს და არა მთელ დასს, მთელი მი-  
სი შესაძლებლობის მხედველობაში მიღე-  
ბით.

• რომანებისა და მოთხრობების გადაკეთე-  
ბა, ისტორიულ თემებით ზედმეტა გატა-  
ცება, ძველი თეატრის მივიწყებულ რეპერ-  
ტუარიდან მელოდრამების გაცოცხლება,

შექსპირის და მოლიერის დავიწყება, თანა-  
მედროვეობის ამსახველ პიესების გულხელ-  
დაკრეფით ცდა ცხადია ვერ შეუქმნის  
თეატრს მისთვის საჭირო დიად ეპოქის თა-  
ნახმიერ რეპერტუარს.

ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, მწე-  
რალთა კავშირმა, თეატრებმა ყურადღება  
უნდა გაამახვილონ რეპერტუარზე. 20 წლის-  
თავის აღსანიშნავათ რუსთველის და მარჯა-  
ნიშვილის სახელობის თეატრებს განზრახუ-  
ლი აქვთ და რეპერტუარშიც გამოცხადე-  
ბულია პ. კაკაბაძის, ს. კლდიაშვილის და ვ-  
გაბისკირიას პიესების დაღვმა, მაგრამ დღე-  
მდე გარკვეული არ არის მოესწრება თუ  
არა ამ პიესების დამთავრება და სპექტა-  
ლებად ღრაოულად განხორციელება. თეატ-  
რებს მართებთ მეტი გულისხმიერებით იმუ-  
შაონ ჩვენს გამოცდილ ღრამატურგებთან.  
ერთი წუთითაც არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ  
თანამედროვეობის ასახვა უნდა იყოს ძირი-  
თაღში ჩვენი ღრამატურგისა და თეატრე-  
ბის შემოქმედების წარმმართველი.

## კონკურსი საუკეთესო პიესაზე

საუკეთესო პიესაზე გამოცხადებული საკუთრივ კონკურსის პირველი რეპუბლიკური ტური დამთავრდა. საუკეთესო პიესებისათვის, საქართველოს საკომისაბჭოს დადგენილებით, დაწესებული იყო სამი ჯილდო: პირველი—20.000 მანეთი, მეორე—15.000 მან., მესამე—10.000 მან. და ორი წასაქეზებელი ჯილდო თვითეული 2.500 მანეთის რაოდენობით.

კონკურსის სახელმძღვანელოდ ხელოვნების საქმეთა სამშართველომ გამოჰყო რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიაც შედიოდნენ: პ. კანდელაკი (თავმჯდომარე), შალვა დადიანი, აკ. გასაძე, შ. ღამბაშიძე, ბესო ელენტი, ი. გვინჩიძე, შალვა ბუაჩიძე, გ. გულია (აფხაზეთი), ვ. ნებიერიძე (აჭარა), დ. მამიევი (სამხრეთ-ოსეთი) და შ. კილოსანიძე (მდივანი).

კონკურსზე შემოვიდა 123 პიესა. აქვდან წინასწარი გაცხრილვის შემდეგ უიურიზე განსახილველად დაშვებულ იქნა 13 პიესა, მათ შორის 5 ისტორიული და 8 თანამედროვე თემაზე.

უიურიმ, რომელშიაც შედიოდნენ შალვა დადიანი (თავმჯდომარე), აკ. ხორავა, აკ. ვასაძე, პ. კანდელაკი, ბ. ელენტი, შ. ღამბაშიძე, ქ. შახ-აზიზივი, ა. აბარიანი, შ. ბუაჩიძე, გ. ნუცუბიძე, დ. ჯანელიძე, ა. თაყაიშვილი და შ. კილოსანიძე (მდივანი) ცალკალე განხილა თვითეული პიესა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სცნო, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ სდგას იმ სიმაღლეზე, რომ შეიძლებოდეს რომელიმესათვის პირველი ჯილდოს მინიჭება. კენჭი უყარეს უიურიზე წარმოდგენილ პიესებს მეორე, მესამე და წასაქეზებელი ჯილდოებისათვის. ამასთანავე მიღებულ იქნა დადგენილება გადიდებული ყოფილიყო წასაქეზებელი ჯილდოების რიცხვი ოთხამდე.

ფარული კენჭის ყრის შედეგად არც შეორე ჯილდო აღმოჩნდა მინიჭებული. ამ ჯილდოსათვის ვერც ერთმა პიესამ ვერ შეაგროვა ხმების საჭირო რაოდენობა.

მესამე ჯილდო მიენიჭა გ. ნახუცრიშვილის პიესას „აჩაკუნე“, ხოლო წასაქეზებელი ჯილდოები: ი. ვაკელის „გიორგი სააკადეს“, „მეფე ერეკლეს“ (დევიზი „XX“), „თერგის კომისარს“ (დევიზი „მამაცთა თავგანწირვას ვუმღერო“) და „უკვდავებას“ (დევიზი—„მები“).

უიურიმ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო მწერლებმა, არამედ დამწყებმა ავტორებმაც საქართველოს ქალაქებიდან და რაიონებიდან. წარმოდგენილი პიესების ოემატიკა მრავალფეროვანია. ავტორები ასახავენ ჩვენს სინამდვილეს (ქვეყნის თავდაცვა, საკოლმეურნეო ცხოვრება, ინტელიგენციისა და სოციალისტური მშენებლობის მოწინავე აღმიანების ცხოვრება, სამშობლოსაღმი სიყვარული და სხვ.), მაგრამ საგრძნობია ერთგვარი ლტოლვა ისტორიული თემებისაღმი.

იმ ავტორებიდან, რომლებმაც თავიანთი ნაწარმოებები წარმოადგინეს კონკურსზე, 30-მდე კაცი აყვანილია აღრიცხვაზე, თუმცა მათი ნაწარმოებები ჯერ კიდევ არ არის სრულფასოვანი. ეს ავტორები იმედს იძლევიან, რომ თუ მათთან იმუშავებენ ხელოვნების საქმეთა სამშართველო, მწერალთა კავშირი და თეატრები, მათ მომავალში შეუძლიანთ მოგვცენ ლირსეული ნაწარმოებები.

ბუნებრივად იბაღება კითხვები—რას წარმოადგენს პიესა „აჩაკუნე“, რომელმაც ესოდენ მაღალი შეფასება მიიღო და მესამე ჯილდოს ღირსი გახდა?

„აჩაკუნე“ საბავშვო პიესაა და ექუთვნის იგი საბავშვო დრამატურგიის ერთერთ

თვალსაჩინო წარმომაღენელს — გ. ნახუც-  
რიშვილს. ნახუცრიშვილი ავტორია მთელი  
რიგი პიესებისა. „აჩაკუნე“ მისი ზრდის მა-  
ჩვენებელია.

პიესის თემაა — სამხედრო ტექნიკის დაუ-  
ფლება ბავშვების მიერ. ფონად გამოყენე-  
ბულია სამხედრო თამაში. პიესის ყველა  
მომქმედი პირი ბავშვებია, მაგრამ ეს არ  
ჰქონის შთაბეჭილებას, თითქოს ისინი მო-  
წყვეტილი არიან მოზრდილებს, მშობლე-  
ბისა და სკოლის აღმზრდელობით ზეგავლე-  
ნას. პირიქით, პიესა ისე მოხერხებულად  
არის დაწერილი, რომ ეს გავლენა იგრძნო-  
ბა მთელი ნაწარმოების მანძილზე.

„აჩაკუნე“ ლამაზი ქართული ენით არის  
დაწერილი. მასში ბევრია ცოცხალი, მიმზი-  
დველი სახეები. პიესა მიღებულია დასად-  
გმელად მოზარდ მაყურებელთა ქართულ  
თეატრში.

კონკურსმა უდავოდ თვალსაჩინო უფექტი  
მოგვცა. მან გვიჩვენა, რომ ინტერესი და  
მისწრაფება დრამატურგიული შემოქმედე-  
ბისადმი ჩვენში მნიშვნელოვნად გაზრდილი.  
უ აქამდის დრამატურგიაში მომუშავე  
მწერალთა რიცხვი ფრიად განსაზღვრული  
იყო, ამ კონკურსის შემდეგ შემოქმედებითი  
კოლექტივი გაფართოვდება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი წაკლი.  
რომელმაც დაღი დააჩნია ამ კონკურსს, ეს  
არის ის, რომ კონკურსზე არ იყვნენ წარ-  
მოდგენილი ჩვენი ცნობილი დრამატურგე-  
ბი. მწერალთა კავშირმა ვერ შესძლო მათი  
ამ დღის საქმეში ჩაბმა. მწერალთა საზოგა-  
დოებრივობამ პასიური დამკიდებულება  
გამოიჩინა კონკურსისადმი.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ  
დრამატურგი რამდენიმე წლის წინათ დაწე-  
რილი პიესით წარსდგა კონკურსზე, ამასოთა-  
ნავე ამ პიესებში არავითარი ცვლილებები  
არ ყოფილა შეტანილი. ასეთი მიღვინა  
კონკურსისადმი კარგად ვერ ახსითებს ამ  
დრამატურგებს. ნუ თუ ამ წლების განმავ-  
ლობაში მათ დრო ვერ იშვეს გადაეთვა-  
ლიერებიათ თავიანთი ნაწარმოებები, გაეუ-  
მჯობესებიათ ისინი, დაეახლოვებიათ თანა-



დრამატურგი გ. ნახუცრიშვილი

მედროვეობასთან? ნუ თუ ისინი ვერავი-  
თარ შავ ლაქის, ვერავითარ ნაკლს ვერ ხე-  
დავენ თავიანთ პიესებში? ასეთი თვითქმა-  
ყოფილება არ ვარგა, მას მხოლოდ ზიანი  
მოაქვს საქმისათვის.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ  
გარემოებას, რომ კონკურსზე საგრძნობი იყო  
ერთგვარი არასწორად გაგება ჩვენი დრამა-  
ტურგიის ამოცანებისა. არ გაგება იმისა,  
რომ დრამატურგიის ძირითადი ამოცანაა  
ჩვენი ეპოქის ადამიანთა სახეების შექმნა,  
ჩვენი საბჭოთა სინამდვილის ასახვა. წწო-  
რეთ ეს არა სჩანდა კონკურსზე წარმოდგე-  
ნილი პიესების მნიშვნელოვან ნაწილში.

საგრძნობად ისტორიაზმით გატაცება. ის-  
ტორიულ თემატიკას დიდი ადგილი უჭი-  
რავს საკონკურსოდ წარმოდგენილ ნაწარ-  
მოებებში. ავტორებს აფიშურებათ, რომ ყო-  
ველგვარი ისტორიული თემა როდია დღეს  
ჩვენთვის საინტერესო. დრამატურგს უნდა  
ეხერხებოდეს ისტორიაში გამონახოს ისეთი  
ეპოქა და ისეთი პიროვნებანი, რომელიც  
დღესაც ახლოს არიან ჩვენთან, რომელთაც  
შეუძლიანთ დღესაც იაღელვონ მაყურებე-  
ლი.

კონკურსზე წარმოდგენილი ისტორიული  
პიესების თვალსაჩინო ნაწილი კი დაწერი-

ლია წვრილმან, უმნიშვნელო ამბებზე. ილუსტრაციისათვის შეიძლება მოვიყვანოთ პიესა „შეიხ მანსური“, რომელიც სრულიად სამართლიანად არ მოხვდა უიურიშე, თუმცა დრამატურგიულად კარგად არის დაწერილი და ავტორის ნიჭის ამეულავნებს. პიესის მთავარი გმირი საერთაშორისო ავანტურისტია, იტალიელი მისიონერი, რომელიც შემდეგ შემიღის ჯარებშიც კი იბრძოდა. ვისთვის არის დღეს ეს საინტერესო? განა ასეთი პიესები ესაჭიროება საბჭოთა მაყურებელს? როგორ შეიძლება საერთაშორისო ავანტურისტი იყოს საბჭოთა პიესის მთავარი პერსონაჟი? რა იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა უნდა პქონდეს ასეთ ნაწარმოებს?

ვიმეორებ, „შეიხ მანსური“ დრამატურგიული ოსტატობის მხრივ ძლიერად არის დაწერილი, მაგრამ კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტი მისი უიურიშე დაშვება ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შესაძლებლად არ სცნო, ავტორი ასყვანა აღრიცხვაზე და გადასწყვიტა მისი ერთერთ თეატრზე მი-

შაგრება, შემდეგში მისი შემოქმედების სწორი გზით წარმართვისა და მისთვის დახმარების აღმოჩენისათვის.

კონკურსმა ცხადჰყო, რომ მთელი რიგი დრამატურგები მიზანშეწონილად არ იყენებენ თავის დროსა და ენერგიას, რომ მათ სწორად არ აქვთ შეგნებული თავისი ამოცანა, რომ საერთო დეფექტი, რომელსაც დაგილი აქვს ლიტერატურაში — ერთგვარი ჩამორჩენა თანამედროვე თეატრისაგან — საკრძნობი ყოფილა დრამატურგიაში.

ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მწერალთა კავშირმა და ხელოვნების საქმეთა სამმართველომ სერიოზულად უნდა მოჰკიდონ ხელი დრამატურგთა ახალი კალრების აღზრდას, რძსთვისაც საჭიროა უიურის მიერ აღრიცხვაზე აყვანილი ავტორები შემოიკრიბოს თავის გარშემო და აწარმოოს საკონსულტაციო მუშაობა, როგორც თემების შერჩევის მხრივ, ისე ცალკეულ შემოქმედებითი საკითხების ირგვლივ.

## კომ. ე. ანდრიაშვილის ოპერა „კუპრ ყაჩაღი“

ოპერა „კაკო ყაჩაღი“ ახალგაზრდა კომ-  
პოზიტორ ა. ანდრიაშვილის პირველი შემო-  
ქმედებითი ნაბიჯია მუსიკალურ-სკეკნიური  
ხელოვნების დარგში. მით უფრო საყურად-  
ღებოა ის არაჩეულებრივი ინტერესი, რო-  
მელიც მან გამოიწვია ფართე საზოგადოებ-  
რივ წრეებში.

„კაკო ყაჩაღი“ ეხება ფრიად მნიშვნელო-  
ვნ თემას. ბატონ-ყმური უცულმართობის  
წინააღმდეგ ამბოხებული კაკო და ზაქრო  
სუფლიდან გაქცეულები ტყეს მიმურებენ.  
მაგრამ შეურიცებლობის გრძნობით აღვის-  
ლი გმირები, არა მარტო მეამბოხე პრი-  
ტესტატებად გვევლინებიან, არამედ შეტად  
გრძნობიერ გულის აღამიანებად. ბატონ-  
ყმობის გმობის სოციალური თემა ოპერის  
მუსიკაში ისტრაფვის სიყვარულის ლირიკულ  
გრძნობასთან შეთავსებას.


„კაკო ყაჩაღის“ წარმატებას ეჭვს გარე-  
შეა დიდი მწერლის ილია ჭავჭავაძის შემო-  
ქმედებამაც შეუწყო ხელი. ოპერის მუსიკა-  
ში ნათლად ვცრძნობთ ილიას პოეზიის მხი-  
ბლავ ძალას. დადი ქართველი ქლასიკისის  
პოეზიაში საოპერო ხელოვნების ხაზით პირ-  
ველად „კაკო ყაჩაღის“ მუსიკაში ჰპოვა თა-  
ვისი გამომსახველი. მაგრამ ღირსშესანიშნა-  
ვია არა მარტო პოეტური ტექსტისა და თე-  
მის შერჩევის ინიციატივა, რომელიც კვლავ  
აღვიძებს და აძლიერებს ინტერესს ქართუ-  
ლი კლასიკური პოეზიისადმი, ანდრიაშვი-  
ლის შემოქმედების მეტად მიმზიდველ მხა-  
რეს შეაღენებს აგრეთვე იმ მშვენიერი ტრა-  
დიციების დაცვა და მფარველობა, რომელიც  
კლასიკური ოპერის დიდმა ისტორია ზაქა-  
რია ფალიაშვილმა უანდერენა საბჭოთა ახალ-  
გაზრდა კომპოზიტორებს. უკაკო ყაჩაღის“

მემკვიდრეობითი კავშირი „აბესალომის“  
მუსიკასთან კვლავ ახალი ნიშანია ჭ. ფალია-  
შვილის შემოქმედების დიდი ისტორიული  
რეზონანსისა ქართულ საბჭოთა მუსიკაში.


ა. ანდრიაშვილის მუსიკა ხალხური შემო-  
ქმედების ღრმა სიყვარულითაა გამსჭვალუ-  
ლი და ჭეშმარიტად ძნელია „კაკო ყაჩაღზე“  
უფრო ხალხური ოპერის წარმოლევნა. ოპე-  
რის მთელი „სხეული“ ხალხური სიმღერების საღი  
ჰაერით სუნთქვას. „კაკო ყაჩაღის“  
მუსიკალური ენა საკვირველი უბრალოებით  
და სისადავით ხასიათდება და ეს უბრალოე-  
ბა იასნება, უაღრესად წრფელი და რე-  
ფლექსით შეულავველი გრძნობებით, რო-  
მელიც „კაკო ყაჩაღის“ გმირების ამონრა-



ოპერა „კაკო ყაჩაღის“ ავტორი  
კამპონი. ა. ანდრიაშვილი



ოპერა „კაკო ყაჩალის“ დამდგმელი  
რეժ. გ. შურული



ოპერა „კაკო ყაჩალის“ მხატვარი  
პროფ. გალ. სიდამონ-ერისთავი

ვებს. გლეხეცური სიმღერის შთამაგონე-  
ბელ ძალის ვგრძნობთ ოპერის პირველი  
ტაქტებიდანვე და ეს სტილი მუსიკალური  
მეტყველებისა თითქმის დაურღვევდად გა-  
სდევს აპერას ბოლომდე.

ეჭვს გარეშეა, რომ „კაკო ყაჩალის“ მუსი-  
კაზურ მუსიკალურ დაღლებტზე უნდა  
აღმოცენებულიყო და მართლაც თავისი სი-  
უჟეტისა და გმირებისათვის კომპოზიტორს  
უპოვნია აბსოლუტურად შესატყვისი, ტიპი-  
ური ინტონაციური ენა. მაგრამ აქვე უნდა  
შევნიშნოთ, რომ თემის შინაარს და მას-  
შტაბი კომპოზიტორს საშვალებას აძლევდა  
გაერღვია „ადგილობრივი“ კუთხური დია-  
ლექტიების ვიწრო რეალი და უფრო განხო-  
გადოებულ ფორმებისათვის მიერმართა.

ანდრიაშვილის შემოქმედების კავშირი  
ხალხურ მუსიკალურ ხელოვნებისთან იმდე-  
ნად ღრმაა და ორგანიული, რომ კომპოზი-  
ტორს ხალხური ენა „საკუთარ“ ენად მიაჩ-  
ნია და უნდა ვიფიქროთ, რომ ამიტომ არ  
ერიდება იგი ხალხური სიმღერების თითქმის  
უცვლელად შეტანას ოპერაში. „კაკო ყაჩა-  
ლის“ მუსიკა ხალხური შაირის სტიქით  
არის შთაგონებული, ხალხური ციმღერა გან-  
საზღვრავს თვით მუსიკალურ ქსრვილს, მის  
ფაქტურას, ოპერის მთელ ინტონაციურ და  
ემოციონალურ შინაარს. ხალხური სასიმ-  
ღერო მასალის თითქმის შემბოჭველ გავლე-  
ნას ვხედავთ „კაკო ყაჩალის“ ცეტორზე და  
შესაძლებელია შემოქმედებითი ისტატობის  
„კულტის“ თაყვანისმცემლებმა აქ ეთნოგრა-  
ფული მასალის ყინედლე იყრძნონ და „კა-  
კო ყაჩალის“ მუსიკა ხალხური შემოქმედე-  
ბის უბრალო გაგრძელებად გამოაცხადონ.  
მაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილუ-  
ბის ილუზია.

„კაკო ყაჩალის“ ხალხურობა ხალხური მა-  
სალის ჭარბი გამოყენებით არ აისნება—ეს  
უფრო შედეგია მისი ხალხურობის, ვიღრე  
მიზეზი. უფრო სწორი იქნება აღვნიშნოთ,  
რომ „კაკო ყაჩალის“ მუსიკა ინდივიდუალუ-

რი და ხალხური შემოქმედების ბუნებრივი შედელების ნაყოფია. ოპერა „კაკო ყაჩაღის“ სისხლე და მნიშვნელობა არა მის ფორმა-ლურ სატატობაში მდგომარეობს, პირიქით, ეს მხარე შესაძლებელია ოპერის ჩველაზე უპრეტენდით ნაწილი იყოს და, მეტად სა-გულისხმოა, რომ მარტივი ტექნიკური სა-შვალებებით კომპოზიტორი აღწევს დიდ მხატვრულ ეფექტებს.

„კაკო ყაჩაღი“ გვიზიდავს შემოქმედება-თი უშუალობით და გულწრფელობით, მუ-სიკალურით შინაარსის გზნებითა და მღელ-ვარებით. გულალალი გლეხეაცის მიამიტო-ბას და სულიერ განცდებს „კაკო ყაჩაღის“ ავტორი გადმოგვცემს მისივე ენითა და კი-ლოთი, საკმაოდ მარტივად და შესაძლებე-ლია ზოგჯერ მდაბიურადაც, მაგრამ მეტად უშუალოდ და გულიანად. და რამდენად უფ-რო საყრდნობი იქნებოდა ჩვენთვის „კაკო ყაჩაღის“, „შავი ხნულების“ პოეზიის უშუა-ლო ძალა, რომ ავტორის თავისი ნაბდის ქუ-ლიანი პერსონაჟები მუსიკალური პეიზაჟის ბუნებრივ ფონზე მოეცა. ამის საშვალებას კომპოზიტორს ილიას შესანიშნავი პოემაც აძლევდა, განსაკუთრებით მისი დასაწყისი, რომელიც ქართული პეიზაჟის მშვენიერ აღ-შერს წარმოადგენს.

„კაკო ყაჩაღის“ მუსიკალური ღირსსებები უფრო ნათელი იქნებოდა ჩვენთვის, რომ იმერის ლიბრეტო (ავტ. გ. იმედაშვილი) მოკლებულია ან ყოფილიყო მტკიცე ღრა-მატურგიულ კონსტრუქციის. ლიტერატუ-რული მასალის მუსიკალურ-ღრამატიული ტრანსკრიპცია განსაკუთრებით ძნელია მა-შინ, როდესაც ეს მასალა ან წარმოადგენს ერთ მთლიან ნაწარმოებს. პოემა „კაკო ყა-ჩაღის“ სამი სურათი ოპერის ლიბრეტოში გაფართოებულია 8 სურათამდე, რომლის ეპიზოდები ა. ჭავჭავაძის სხვადასხვა ნა-წარმოებიდან არის აღებული (გამოყენე-ბულია „გლახის ნამბობის“, „გუთნის დე-დის“, „აჩრდილის“, „ბაზალეთის ტბის“ და სხ. ნიშვნებები).

სუსტი ღრამატურგიული ტექნიკის გამო



ოპერა „კაკო ყაჩაღი“-ს დირიჟორი  
ო. დიმიტრიადი

ლიბრეტისტს ვერ უპოვნია აღებულ ფრაგ-მენტებს შორის მათი გამაერთიანებელი, ძი-რითადი სიუჟეტური ხაზი. ოპერის ლიბრეტო უფრო გათიშული ეპიზოდების ციკლს წარმოადგენს ვიდრე მტკიცედ შეკრულ დრამას. ძნელი გამოსარევებია სიუჟეტის რომელი ხაზი განსაზღვრავს ოპერის დრამატურგიის ცენტრს. თუ ბატონ-ყმური ურთიერთობის კოლიზია აღნი-შნავს სიუჟეტის მაგისტრალურ ხაზს, მაშინ ოპერას სოციალური დრამის ხსიათი უნდა მისცემოდა, მაგრამ ამ მხრივ თემის ღრამატიული პათოსი და პერიოდი ან არის საკმაოდ ნაგრძნობი და განვითარებულია.

ოპერა მოკლებულია ღრამატიული დაძა-ბულობის ფართე ტალღებს და მოქმედებას. ამით ასესწება, რომ ოპერის კოლექტური გმირი—ხალხი უფრო სტატურ მასას წარ-მოადგენს, ვიდრე მებრძოლ აქტიურ ძალას. ფრიად დამახასიათებელია, რომ ხალხურ წყაროებზე უშუალოდ დაყრდნობილ კომ-პიზიტორს თავისი ნაწარმოები მოფიქრებულია აქვს არა, როგორც მუსიკალური ღრამა,



კაკო

პ. ამირანაშვილი

რომილის შინაგანი დინამიკისა და ღრამისტიკურისთვის ფოლელორული სასიმღერო მასალა შედარებით წაკლებ საშუალებას იძლევა, არამედ როგორც ლირიკო—ეპიური ოპერა. საფულისხმოა, რომ გმირული ეპიზოდები არა ღრამატიულ პლანზეა და უფრო ეპიურ ფუნქციად იშლება თქერაში.

თქერაში არ არის რელიეფურად ნაჩენები და განვითარებული, როგორც ბატონიშვილი დამოკიდებულების სოციალური კონტრასტები, ისე ინდივიდუალურ გმირთა ურთიერთობა. ამ მხრივ თქერის ორი რომანტიული ხაზიც ნაწყვეტების შთაბეჭდილებას სტოვებს. უნდა შევნიშნოთ, რომ ლირიკული გზნებით ანთებული მზიას და ზაქროს სიყვარულის სცენა (პირველი სურათის დუქეტი), რომლის ხაზი უკვე მეორე სურათში მძაფრი ღრამატიული კონფლიქტის სტიმული ხდება თქერის შემდეგ სურათებში კვალწმინდათ იყარება. იგივე ითქმის კაკო-

სა და ნინოს სიყვარულის მომენტზე, რომელიც ოპერაში თითქმის შეუმჩნეველ ეპიზოდათ ჩაება. თქერი ბევრს მოიგებდა, რომ მას რამდენიმე სიუჟეტური ხაზი არ ჰქონდეს. გმირული და ლირიკული ელემენტების შეზავების ტენდენცია, რომელიც საერთოდ ღამისათხებელია საბჭოთა ოპერებისათვის, სინტეზის ვერ აღწევს და „კაკო ყაჩაღიც“ უფრო საინტერესო ექსპერიმენტის შთაბეჭდილებას სტოვებს.

უარყოფითად უნდა იღინიშნოს ესოდენ მრავალი გმირების გამოყვანა თქერაში, თუმცაც იმის გამო, რომ თვითეული მათგანის მუსიკალურ დახასიათებისათვის აუცილებელია დიდ ფსიქოლოგიურ ისტატიბასთან ერთად მაღალი საკომპოზიციო ტექნიკა, რომელიც შეუძლებელია ჰქონდეს ახალგაზრდა კომპოზიტორს და მით უმეტეს დებიუტანტს საოპერო მუსიკის დარღმი. თუმცა თქერაში სჩანს გმირთა მუსიკალური დასასიათხებას ცდა და ამ მხრივ კაყოს მხატვრული სხვე განსხვავდება ზაქროსუგან, მაგრამ ეს მხოლოდ ესკოჩება გათვალისწინებული პორტრალური გმირების დახასიათხება უფრო მეტ განვითარებას და რელიეფს მოითხოვდა.

თქერის ღრამატურგიულ დეფექტებს განსაკუთრებით მესახუ ქეტის სურათებში ვამჩნევთ. ლოლიქურად გაუმართლებელია ტყვეების ჩატარება, მაყვლის ძებნა; მცორე თვალის როლი თქერაში შემთხვევითი პერსონაჟის შთაბეჭდილებას სტოვებს. თუ ზაქროს მამის მკვლელობის სცენა უაღრესსად შთამაგონებელი მომენტია თქერაში, დანარჩენი მკვლელობის ეპიზოდები არ არის ღრამატიულად მომზადებული და მოტივისტებული. დიდი ლირიკული პათოსით და მღელვარებით არის ძლიერებილი ნინოს საკანის სცენა, მაგრამ საერთო ღრამატურგიულ კონტექსტში მისი აღილი ბუნდოვანი გვეჩვენება.

განსაკუთრებით დასაფასებელია თქერის ექსპოზიციური მხარე, სადაც კომპოზიტორი ნათლად ამეღავნებს თემატიური მასალის

შეგჩენისა და მისი მთლიანობის დაცვის უნარის „კაკო ყაჩაღის“ ფორმალური სტრუქტურა ტრადიციული ტიპისაა და ემყარება ისერის დალკვილ „ნომრებაზ“ დანაკვეთების პრინციპს. ამ მხრივ მისი ონაგობა ვოკალური ხელოვნების ყველა ფორმების—არიების, ანიამბლების, გუნდების—გრძელ წყებას წარმოადგენს.

აკტორი არ იყენებს სიმფონიური განვითარების პრინციპს, რომელიც საშუალებას მისცემდა მას სასიმღერო მასალის თემატიზაციისა და ფართე დრამატიული განვითარებისათვეს ამავე მეთოდის საშვალებით. იგი შეიძლება საყოფაცხოვრებო თპერის გმირული ღრამის დონეზე ამაღლებას. მაგრამ, ამ შემთხვევაში, კომპოზიტორი მაინც არ არის დადაი საყვედურის ღირსი. მართალია, სიმფონიზმი, როგორც შემოქმედებითი მუთოდი, მარტო სიმფონიური ეანრის პრიოლეგიას, არ წარმოადგენს და თავის დღი მნიშვნელობას იგი სხვა ეანრებშიაც მეტაფრებს, მაგრამ საოპერო დრამატურგიის კომპოზიციურ პრინციპებსა და სიმფონიზმს შორის არ არის განუყრელი კავშირი და ამ მეთოდის გამოყენების თვალსაზრისით არ იძომება საოპერო ნაწარმოების მხატვრული ღირებულება. ამის ნათელი მაჩვენებელია, როგორც მრავალრიცხვიან კლასიკური თპერები, ისე მნიშვნელოვანი ნაწილი საჭიროა თპერებისა („წყნარი ღონის“, „გავუნისანი პოტიომკინი“ და სხ.). მაგრამ, „კაკო ყაჩაღის“ მუსიკალური სტრუქტურა თუ ერთგვარ სქემატიკურობას არ არის მოკლებული საერთოდ—ეს არ ითქმის ყოველ მის შემადგენელ ელემენტზე. ამის მაჩვენებელია, მაგალითად, ნინოს საკანის საკმაოდ მოზრდილი სცენა, რომელიც თითქმის ერთ თემატიურ მასალაზეა ავებული, თპერის მესამე სურათი, მეორე სურათის კვარტეტი, ზოგიერთი გუნდები და ანიამბლები, სადაც მყაფიოდ სჩანს, რომ კომპოზიტორს შეთვისებული აქვს მუსიკალური ფორმის ორგანიული მნიშვნელობა.

თპერაში აღვილი აქვს რამდენიმე ლეიტ-



ზარო

დ. ადღულაძე

მოტივს, მაგრამ ეს ხერხი ავტორს ცალმხრივად აქვს გამოყენებული და უფრო ფსიქოლოგიურ ფუნქციის ასრულებს, ვიდრე ფორმალურ—კონსტრუქტიულს. განსაკუთრებით მეტყველია და რელიეფური „ჩაგვრის“ ლეიტონტივი, რომელიც თპერის შესაგალიდან დაწყებული თითქმის ყველა სურათებში ისმის. სამწუხაოდ, ლეიტონტივის თემებს კომპოზიტორი არ ანითარებს და ავრეთვე ყველა სიტუაციებში მათი ხმოვანები არ არის გამართებული. თპერის მუსიკალური ენა საქმოდ მეტყველია და სტილისტურად მთლიანი. (საერთოდ სტილის არ არღვევს ნინოს საკანის ზოგიერთი უცხო ინტინკაციები, სადაც ჩაიკოვსების ოდნავი გავლენის კვალი სჩანს). მეტად დასაფასებელია, რომ ასეთი დიდი მასშტაბის ნაწარმოებში ახალგაზრდა ავტორს თითქმის ანასად არ ღალატობს მხატვრული ზომიერებისა და ნაციონალური სტილის მთლიანობის გრძნობა. „კაკო ყაჩაღის“ ეს უტყუარი ღირსებები მით უფრო დასაფასებელია და საყურადღებო, თუ ვიტყვით, რომ, ქართული მუსიკის ზოგიერთი ნიმუშების დღეს სტილის-



ნინო

ნ. ცორაია

ტური შიჭრელისა და ჩლეპტიზმის დაღი  
აზის.

ანდრიაშვილი ზედმიშევნით გრძნობს ქარ-  
თული მუსიკალური სტილის ეროვნულ

სპეციფიკას და ამ მხრივ კომპოზიტორის წა-  
იონალური სახე სავსებით გამორკვეულია  
საგულისხმოა, რომ „კაკო ყაჩალის“ ნაცო-  
ნალური სტილი დაცულია არა მარტო სა-  
გუნდო სცენებში, რომლის დაცვა დოდი სი-  
ძნელებში არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ  
ოპერის სოლოებშიც, რომლის სანიმუშო  
ხალხური პროტოიპები, ჩოგორიც ცნობი-  
ლია, იშვიათია ქართულ მუსიკალურ ფოლკ-  
ლორში. ქართული არის პრობლემი, რო-  
გორც სტილის, ისე საერთო აღნაგობის  
მხრივ, მუდამ საგონებელში აგდებდა ჩვენ  
კომპოზიტორებს. შემთხვევითი როდია ის  
მოვლენა, რომ მთელ ქართულ საოცერო ლი-  
ტერატურაში იშვიათად მოიპოვება ისეთი  
სოლო, რომელიც ირანულ-არაბული ან ზო-  
გად—ევროპული მუსიკის ღრმა გავლენის  
კვალს არ იტარებდეს...

„კაკო ყაჩალის“ მუსიკის საფუძველს შეა-  
დგენს მისი ხმოვანების ნათლად გამორკვე-  
ული ვოკალობა. ოპერის ეს ლირისტაც გან-  
საკუთრებული ყურადღების ღირსაა, თუ ვი-  
ტურით, რომ ამ ოპერამდე კომპოზიტორს არ  
შეუქმნია აღცერთი დიდი თუ მცირე ფორ-  
მის ვოკალური ნაწარმოები და, თითქმის  
ყოველგვარი ექსპერიმენტებისა და აუცი-  
ლებელი ტრამპლინების გარეშე, შეეხო ვო-



გაფო—დ. გამრეკელი

ზაქორო—მ ყვარელაშვილი

კალური ხელოვნების მეტად როგორ მოწერ-  
მეტალურ ფანტს.

„კაკი ყაჩალის“ კომპოზიტორი შესანიშნა-  
ვად გრძნობს „ადამიანის ხმის, როგორც  
უაღრესად მელოდიურ ინსტრუმენტს“. ოპე-  
რა საკითხი მდერადობით. იგი ანდრიაშვილის  
ნათელი მელოდიური ნიჭის მაჩვენებელია.  
ოპერის კოკალური მელოდიკა მრავალფრო-  
ვანია და შეიცავს, როგორც კანტისლენტი, ისე  
დეკლამაციურ — რეჩიტატიულ ფორმებს.  
ქართლ-კახური მელოდი, როგორც ქართული  
ბელკანტის უშრეტი წყარო, კვლავ ახალი  
ენერგიით ანაუთიერებს კომპოზიტორის  
შემოქმედებით ფანტაზიას.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ოპერაში  
ერთგვარ ცალმხრივობას აქვს აღგილი. მუ-  
სიკალური მასალის მთელი ტვირთი ვოკა-  
ლურ ფაქტორს აწევს, რომელსაც საგრძნო-  
ბლად მამორჩება ინსტრუმენტალურონაში-  
ლი. მისცედავად ზოგიერთი დამოუკიდებელი  
მომენტებისა, ოპერის ორკესტრი აქ მარტი-  
ვი აკომპანიმენტის ფუნქციას ასრულებს და  
მისი როლი თთოვების ნეიტრალობის ღონიშ-  
ება დაყვანილი. უნდა აღინიშნოს ერთოვე-  
როგნება და ერთგვარი „მონოტონია“ სა-  
ორყესტრო ხერხებისა. კომპოზიტორის გრძ-  
ნისული შესაძლებლობანი თუმცა შეზღუ-  
დულია, მაგრამ დასათასებელია, რომ გამარ-  
თული ენა არ არღვევს მელოდიურ სტილის  
ნაციონალურ ელფერს და ეს არა მარტო კა-  
დანისებში სჩანს, არამედ მთელ მის სტრუქ-  
ტურაში. ოპერის გარმონიული ენა მთლია-  
ნიდ დატონირულია. მისი ტონალური პლანი  
არ განისაზღვრება მხოლოდ ეკრიპტული მა-  
კიტო-მინორის სისტემით და კომპოზიტორი  
ხალხურ კილოებსაც იყენებს.

„კაკი ყაჩალის“ მუსიკალური დრამატურ-  
გიის „ეროვნულ“ თავისებურებას შეადგენს  
მსიური-ხალხური სცენების დიდი ადგილი  
ოპერაში. გუნდი ძირითადი კომპონენტია  
ოპერისა. მისი რიცხობრივი უბირატესო-  
ბა სოლოებთან შედარებით ხალხური იმე-  
რის საერთო კონკრეტულითაც არის ნაკარნა-  
ხევი. მეტად დამახსახოთებელია, რომ ოპე-



მზად  
ზაქორის მამა

მ. ნაკაშიძე  
გ. ვენაძე

რის სოლოებსა და გუნდებს შორის კომპო-  
ზიტორი ამჟარებს არა მარტო ემოციონა-  
ლურ, არამედ ინტონაციურ კუშისას. ამ ხერ-  
ხით იგი ხახს უსვამს და გვაგრძნობინებს  
ინდივიდუალური და კოლექტიური გმირის  
ერთსულობებს.

თუ პირველი აქტის საყოფაცხოვრებო ხა-  
სისისის გუნდიდები მოქმედების კოლორიტულ  
ფონს წარმოადგენს, მესამე და მეოთხე აქ-  
ტში გუნდი განსაზღვრავს ოპერის ეპიურ  
ხახს. ამ მხრივ შესანიშნავია პოლიფონიუ-  
რად ფართედ განვითარებული გუნდი „უსა-  
მართლობის ულელი“. ოპტიმისტური მნენო-  
ბით და ენერგიით აგვირვენებს იპერის  
გომოფონიური სტილის გუნდი „თავისუფ-  
ლების...“ იგი არ წარმოადგენს ოპერის  
„ფორმალურ“ დაბოლოებას, მასში სოცია-  
ლური ქარიშხალის მომაწვავებელ პროგნო-  
ზებს ვკრძნობთ. უნდა შევნიშნოთ, რომ

გუნდების ხმოვანება რეგისტრების შერიც უთუოდ კორექტივს მოითხოვს.

ოპერის საუკეთესო ნაწილია ანსამბლები. მხედველობაში გვაქვს ორთავე ღუატი და განსაკუთრებით რიტმიულად მეტყველი და პლასტიკურად გამართული კვარტეტი მეორე სურათში.

ძლიერია და მრავალფეროვანი თქერის ქორეოგრაფიული ნაწილიც. მა მხრივ აღსანიშნავია უპირველეს ყოვლის მწყემსების ცეკვა პირველ სურათში, რომელიც ქართული პასტორალის მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს.

მახვილი რიტმით არის საჭირო მეოთხე აქტის ცეკვები. მეტად ეფექტურია ქორეოგრაფიული სცენის უეცარი გადასვლა თავდასხმის და შეტაკების სცენაზე, რომელიც საცეკვაო რიტმის მღელვარე ფონზე მიმდინარეობს.

ხალხური მელოდიური ორნამენტის სამაგალითო ნიმუშს წარმოადგენს მეორე სურათის ურმული. ნამდვილი ხალხური ზარის შთაბეჭდილებას სტოვებს ფშაურ მოტივზე აგებული მზიას და გუნდის ტირილი თქერის ფინალში. იგი, ზაქროს მამის მკვლელობის სცენასთან ერთად, ქმნებამოდ დარჩება ქართულ საკერო ლიტერატურაში, რო-

გორც უაღრესად შთაბეჭდის უძირეს ბი.

ხალხის „წყევლის“ მუსიკა თავისის ჩაქოლვის შემთხვევაში გამართლებული და დამაჯერებელი იქნებოდა, რომ იგი მკაცრი დრამატიული ექსპრესიონი გამოეხატა აკტორს, ვიღრე წყნარი გულჩათხრობილ სევდით.

სოფლის დივერტისმენტის საუანრო-საყოფაცხოვრებო სცენები, ხალხური შთარების იმპროვიზაციული მტილი, ლირიკო-სატირული კუპლეტები, კიდაობა,—დიდ კოლორიტულ მასალას იძლევა „კაკო ყაჩალში“ ხალხური რეალისტური სპექტაკლისათვის.

„კაკო ყაჩალის“ ზოგიერთი ნაკლულოვანებანი ადვილი დასაძლევად. ახალი დრამატურგიული რედაქცია, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს უმთავრესად სიუჟეტური ხაზის დაზუსტებას და კონცენტრაციას, უფრო მკაფიოდ გამოამეღანებას თქერის მუსიკალურ ღირსებებს.

„კაკო ყაჩალის“ პოპულარობა უზრუნველყოფილია, ამის მაჩვენებელია უკვე პირველი სპექტაკლების დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი.

„კაკო ყაჩალი“ ქართული საბჭოთა თქერის მორიგი უდავო გამარჯვებაა.

## „ქაჯანა“ მოზარე მაყუჩებელთა თეატრში

საბჭოთა ქვეყანაში შეგნებული, კულტურული და განათლებული მოზარდი თაობის ორგზიდა გარდაიქცა ღიღ სახელმწიფო საქმეთ.

თუ წინათ საქართველოში ზოგიერთ თავდადებულ მოლვაწეს, როგორიც იყო ი. გოგებაშვილი უკისინებდნენ საბავშვო ბალეზე ოცნებობაზეც კი და მათ აზრს: „ყოვლად უაზრო და ჰაერში ციხეების აშენებას“ ამსაგვესებდნენ (ი. გოგებაშვილისა და საბავშ. უკრ. „ნობათის“ რედაქტორ ა. ლულაძის შორის გამართული კამათი), ახლა, არა მარტო ასობით საბავშვო ბალი, პიონერთა სასახლე, საბავშვო სადაცურები და კლუბებია, (ისიც მარტო თბილისში), არამედ აქვე არსებობს თოჯინებისა და სამი მოზარდ მაყურებელთა თეატრიც, რომლებსაც ათი ათასობით მაყურებელი ჰყავს.

იყო დრო, როდესაც ლაპარაკი იყო ბავშვი—მაყურებლის სპეციალისტებიზე: თითქოს ბავშვის ათვისების უნარი განსხვავდებოდეს დიდისაგან, თითქოს ბავშვს არ შეეძლოს ადამიანის რთულ ფსიქოლოგიურ განცდაში ჩაწერომა, არ შეეძლოს დრამატიული კოლიზიების, სიტყვებისა და ფერების თამაშის გაგება და თითქოს საჭირო იყოს თეატრალური ხელოვნების გაუბრალოება და მხოლოდ აჭრელებული გაფორმებით თვალისმოჭრა, მაგრამ ცხოვრებამ სულ სხვა გვიჩვენა: ჩვენი თანამედროვე ბავშვი დიდისავით ითვისებს, უშუალოდ განიცდის და კარგადაც ერკვევა სცენიურ გარემოსა და განსახიერებული ტიპების შინაგან ბუნებაში.

მეორეს მხრივ რეპერტუარის საქმეც მოუკარებელი იყო. მოზარდ მაყურებელთა თეატრს მემკვიდრეობით არავითარი საბავშვო დრამატურგია არ მიუღია. ეს ითქმის

განსაკუთრებით ქართულ თეატრზე, რომელიც ოქტომბრის ღიღი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარია. მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი პირველ წლების განმავლობაში საზრდოობდა მხოლოდ თარგმანებით, მონტაჟით, ინსცენირებით და ერთადერთი საბავშვო დრამატურგ ს. მთვარაძის პიესებით. დღეს კი იმდენად გაიზარდა დრამატურგების რიცხვი და საბავშვო დრამატურგიამ ისეთ მწვერვალს მიაღწია, რომ ახლახან ჩატარებულ კონკურსში პრემია წილად ხვდა საბავშვო პიესას, (გ. ნახუცრივის „აჩაუნე“).

მაგრამ, ამ გარემოებით დამშვიდებას ვერ მივეცემით. პირიქით აშკარად უნდა გამოვტყედთ, რომ ახალ თემატიკაზე დაწერილი ქართული ორიგინალური პიესების ნაკლებობა ღიღიდა.



ქაჯანა

თ. თვალიაშვილი



ქართ

გ. კუპრაშვილი

ზღაპარი და კლასიკური პიესები—აი, ის ძირითადი მასალა, რომლითაც დღესაც უხვად საზრდოობს ჩვენი მოზარდ მაყურებელთა თეატრი. ეს არ არის ცუდი საქმე. მაგრამ ჩვენ უფრო მეტად თანამედროვე თე-მებზე დაწერილი პიესები გვესაჭიროება.

ჩვენი ეპოქის უდიდესმა მწერალმა მაჭ-სიმ გორკიმ, ჯერ კიდევ 1930 წელს საბავ-შვილი წიგნის გარშემო გამართულ დისკუსიის დროს, შემდეგი სიტყვებით მიმართა იმ ხალხს, რომელიც საბავშვო წიგნის ახალ თემატიკაზე ნაკლებ ზრუნავდა: „ბავშვის ბუნება მიიღოთვის მქაფიობისა და უჩვეულობისადმი. მკაფიო და უჩვეულო კი ჩვენს კავშირში არის ის ახალი, რასაც ჰქმნის მუ-შათა კლასის რევოლუციური ენერგია. აი ძირითადად ამაზე უნდა მივგართოთ ბავ-შვის ყურადღება, ეს უნდა იყოს მთავარი მასალა სოციალური ოლზრდისათვისო“, (გ. გორკი—ლეტერატურულ - კრიტიკული წე-რილები. რუს. გამოც. 1937 წ. გვ. 393).

თუ ამ მხრივ გადავსინგავთ მოზარდ-მა-ყურებელთა თეატრების რეპერტუარს, სა-ნუკეშოს ვერაფერს დავინახავთ. ერთის მხრივ: სკოლა, ოჯახი, მოწაფეობა, მეორეს

მხრივ: სტანდოველები, საბჭოთა გმირები, კოლეგიურნები, რომელთა ხელებითაც აშ-ნდა სოციალიზმი, ჯერ ჩვენს მიზარდ მაყუ-რებელთა თეატრის სცენაზე არ გამოსულან და ხმა არ ამოულიათ, თუ არ ჩავთვლით ორიოდე ცდას და თარგმანს, ან მხედველო-ბაში არ მივიღებთ შესანიშნავი ბოლშევიკე-ბისა და მეცნიერების ცხოვრების განსახიე-რებას („ლალო კეცხოველი“, „სერგო“, „ცეცხლის ხაზე“, „დიდი ერეტიკოსი“ და სხვ.).

ქართულ მოზარდ მაყურებელთა თეატ-რის პირველი პრემიერა მიმდინარე სეზონ-ში იყო „ქაჯანა“, დაწერილი კარლო გოგო-ძეს მიერ ცნობილი ხალხოსანი მწერლისა და პედაგოგის ნიკო ლომოურის თხზულე-ბების მიხედვით.

მაგრამ „ქაჯანას“ ინსცენირებაში კ. ვო-გოძემ წინა პლანზე დააყენა თავისი საკუ-თარი ჩანაფიქრი და განზრახვა, ნ. ლომოუ-რის მოთხრობების სპეციფიკას და თანამიმ-დევრობას კი ნაკლები ანგარიში გაუწია.

ს. ლომოური თავის ნაწერებში ააშკარა-ვებს სოფლის დაბეზავებულ ხალხის ცხოვ-რების ღუბჲის და პირქუშ მხარეებს. მაგ-რამ, ავტორი მარტო ფაქტის დადგენით არ კიყოფილდება, ის მიზეზებსაც ასახელებს: გლეხის შეურყეველი ზე-ჩვეულებების მტკიცე დაცვა, მისი ჩამორჩენა, უკულტუ-რობა, უვიცობა, უალრესი ცრუმორჩმუნეო-ბა, მემამულებისა და მეფქს მოხელეების თავაშვებული თარეში, ეკლესიის მსახურთა გაიდვერობა, თვალხარბობა,—აი გლეხის და-ბეზავებისა და გალატაკების მიზეზები.

ქართულ ლიტერატურაში იშვიათად მოი-ძებნება ნაწარმოები, რომელიც ცრუმორ-წმუნეობას ისეთი ბუნებრივი თანამიმდევ-რობით ხსნიდეს და ფარდას ხდიდეს ეკლ-ესის მსახურთა კაციჭამიობას, ეგოიზმს, რო-გორც ეს ნ. ლომოურის თავის ცნობილ „ალ-ში“ „ქაჯანაში“ აქვს მოთხრობილი.

კარლო გოგოძეს თავისი პიესისათვის აღ-ბული აქვს დასახელებული ორი მოთხრობა, აგრეთვე გამოყენებული აქვს მოთხრობა


„ბედი უბედურთა“-ს ზოგიერთი ამბავი (სარწყავი რუს შესახებ დავა) და პერსონა-  
ჟი (ხალხოსანი ვანო, კულაპიაშვი-  
ლი და სხვ.).

რამდენად შესძლო პიესის ავტორმა ნ.  
ლომოურის მოთხოვნების დედააზრი ჩაწ-  
ვდომა, მისი ყოველი დეტალის აღნუსხვა,  
მომქმედი პირების შინაგანი ბუნების სჭი-  
რად გახსნა და გაეცემა?

ნ. ლომოურს ისე შესანიშნავად ჰყავს აღ-  
წერილი და დახასიათებული მოთხოვნების  
ოვითეული გმირი, თუნდაც ქაჯანა, კატო,  
კიკოლა, ვანო და სხვები, რომ პიესის ავ-  
ტორს მათთვის მხოლოდ სათანადო ადგილი  
უნდა მიეკუთნა სცენაზე, მათთვის ხორცი  
უნდა შეესხა და მწერლის მიერ აღწერილი  
გმირები გაეცოცხლებინა, რათა ჩვენი ახალ-  
გაზრდა მაყურებლების თვალშინ ამდგარი-  
ყო ის ხალხი, რომელსაც ღუპავდა თავისივე  
უფიცობა და ჯერ კიდევ არა ჰქონდა  
შეთვისებული ბრძოლის ის ხერხები, რომე-  
ლიც მას მიიყვანდა რევოლუციურ შეგნება-  
სა და გამარჯვებამდის.

პიესის ავტორს მოთხოვნების მომქმედი  
პირები შეუცვლია, ბევრი აღილი, რაც  
უკეთ გამოხატავს კლასობრივ ბრძოლის გამ-  
წვავებას, (სარწყავი რუს გარშემო დატრია-  
ლებული ამბავი), სრულიად უგულებელუ-  
ყვია, სრულიად არარამდის არის დაყვანი-  
ლი ხალხოსნების, ამ შემთხვევაში პიესაში  
გამოყვანილი ვანოს, როლი, ერთი სოცია-  
ლური ფენის გაიძევრობა გადატანილია მეო-  
რე ფენაზე (ეკლესიის დიაკვანი აზნაურა  
ზაქარიას ოინი მამასახლისზეა გადატანილი),  
ნ. ლომოურისათვის კი დამახასიათებელი  
და საჭირო იყო სწორედ ეკლესიის მსახურ-  
ნი და არა მამასახლისი; „კეთილსახიანი მან-  
დილოსანი ბაბალე“ (ნ. ლომოურის სიტყვე-  
ბისა) გამოყვანილია გაიძევრა მეოთხავად და  
მამასახლისის დამქაშად. პიესის ავტორს  
შეყვანილი ჰყავს საკუთარი პერსონაჟიც, ნ.  
ლომოურის სიტყვიერ მასალას ნაკლებად  
იყენებს და დიდი ადგილი დაუთმია საკუ-  
თარი შემოქმედებისათვის.

ამგვარად, პიესამ ერთის მხრივ თუ მიი-  
ღო ამბისა და იდეურობის მთლიანობა,




კიკოლა

ა. ყიასაშვილი

მეორეს მხრივ მას გამოეცალა ნ. ლომოუ-  
რის მიერ მოცემული სოციალური ჩაგვრისა  
და ბრძოლის სპეციფიკურობა, განსაკუთრე-  
ბით ცრუმორწმუნებობის მიმართულებით.

პიესა ტრიალებს ქაჯანას ირგვლივ, რი-  
თაც ფარიდა აქხადა ცრუმორწმუნებას, ეც-  
ლების მსახურთა თალღითობას, მეოთხა-  
ვების გაიძევრობასა და სიცრუეს, მამასახ-  
ლისებისა და მებატონების თვალხარბობა-  
სა და თვალმაქცობას. კ. გოგოძის პიესა  
ანტირელიგიური და ოპტიმისტურია. მაგ-  
რამ მას ჩრდილს აყენებს აპოთეოზი: ვანოს  
მოულოდნელი დაჭერა. მაყურებელს უკ-  
ვირს: რად დაჭირეს, რა საქმისათვის, რა  
გაკეთა ასეთი? ყველაზე ზედმეტი პიესაში  
სწორედ ეს ვანოა, იმ სახით, როგორც ეს  
პიესის ავტორს აქვს მოცემული.

ვანო სცენაზე სამჯერ ჩანს. ის ერთხელ  
შეეკამათება მებატონებს. სხვებისაგან ვი-  
გებთ, რომ თურმე ბავშვებში ტრიალებს,  
ასწავლის მათ სასიმღერო ლექსებს (ე. ი.  
იმას, რასაც ვანო მღერის მოთხოვნა: „ბე-  
დი უბედურთაში“) და სოფლის ბავშვებს  
„უხსნის“ თუ ვის ეწოდება ფილოსოფოსი?  
პიესის ავტორის, ამ შემთხვევაში მისი ვა-



ბაბალე

5. სირბილაძე

ნოს, გამარტებით ფილოსოფოსი თურმე ის არის „ვისაც დიდი თავი აქვს და ვინც ბევრი იცის“. ამ უადგილო აღყილს ნათქვაშ ფრაზას არავითარი გამართლება არა აქვს.

ნ. ლომოურის ვანო გარკვეული პიროვნებაა: ის თარგმნის აკრძალულ წიგნებს, გლეხებს უკითხავს უურნალ-გაზეთებს, გაჭირვების დროს მათთან არის, ხელჩართულ ბრძოლაშიაც აქტიურ მონაწილეობას იღებს, გლეხებში ანტირელიგიურ მუშაობას ეწევა და მას გარკვეული სიტყვიერი მასალაც გააჩნია. ავიღოთ თუნდაც ერთი ადგილი: „დადგება ისეთი დრო, როდესაც ოქვენ ერთოორად გადაუხდით თქვენს მტრებს. ჯერ ერთი ეს სკოლა წაგიფანოთ კარგად, მერე შევაგროვოთ ფული და ბანკი გავხსნათ, ბანკის სარგებლით გაეხსნათ დეპო. დეპოს მოგებით ჩვენი სკოლიდან შეგირდები გავგზავნოთ ხოლმე სხვადასხვა სკოლებში, მომეტებულად სამხედრო სკოლებში, რომ იქ თოფ-იარაღის ხმარება თვით ისწავლონ კარგად და მერე გვასწავლონ ჩვენცა...“ (მოთხ. „ბედი უბედურთა“) ეს სიტყვები საკმარისი იქნებოდა ვანოს დასახასიათებლად. მაგრამ კ. გოგოძის ვანო ისეთი უშნო და სქემა-

ტიური გამოდგა, რომ ქაჯანაზე „ავი სულის დაცემას“, ბაბალეს მეითხაობას, ხალხის დაწილებას შეტად გულგრილად და უსიტყვოდ შესცერის.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც: ვინ არის ის ბავშვი, რომლის სახელსაც ატარებს პიესა? ლომოური გარკვევით გვეუბნება: „ქაჯანა გახლავთ მეტი სახელი პატარა ბიჭისა, რადგანაც ამას ლაპარაკში ხშირად უყვარდა სიტყვა „ქაჯანას“ ხმარება. მაგ. „ქაჯან, წავიდეთ მინდოოში“, „ქაჯან ვიმღეროთ“, „ქაჯან, ერთი ვამლი მე მომეცი“ და სხვ. პატარა სიმონას დამახასიათებელი სიტყვა „ქაჯან“ იყო. ამ სიმონამ სცენაზე ვაშლიც მიიღო, მინდვრიდან სოკოებიც მოიტანა, მაგრამ მისი საყვარელი სიტყვა ერთხელაც არ გაისმის სცენიდან. ამის გარდა, ქაჯანა „დახტოდა, მღეროდა და ისეთი სიმარლით და მოხერხებით აკეთებდა საქმეს, რომ განციფრებაში მოჰყავდა თავისი მნახველებით“ მოგვითხრობს ნ. ლომოური. ამასთანავე მას აქვს „პატარა გუთანი, პატარინა საძნე და საბარევო ურემოს ლამაზი პატარა კომბლები და ჭოხები“ და სხვ. ი ყველა ის, რითაც ქაჯანა მთელი სოცელის ურადღებას იყრობდა და ყველას უყვარდა კიდეც.

სამწუხაროდ გოგოძის ქაჯანი არ არს ასეთი! გოგოძის ქაჯანა უფრო ავადმყოფს, ფლეგმატიურს, გადაჭირებულად მხდალსა ჰგავს. მისი სიმღერაც არ ჰგავს ლომოურის ქაჯანას „კურდლელი მოცანცალებდას“, განსაკუთრებით კი „გოგონას“. მისი სიმღერა უფრო ღარმაისულ აღამინის შეეფერება!

მართალია, ლომოურის თქმითაც, ქაჯანა მშიშარა იყო, მაგრამ სულით მაინც არ დაცემულა. როცა დამუნჯდა, მართალია, მონაწილეობას აღარ იღებდა ბავშვების სიმღერის—მხიარულებაში. მაგრამ როცა ხმას გაიგებდა „მობრუნდებოდა მათენ, თვალები გაუცოცხლდებოდა, უცებ პირს გააღებდა, თითქოს სიმღერის ჩამორთმევა უნდოდა“ ერთი სიტყვით, ცდილობდა ცხოვრებას არ ჩამორჩნდა. პიესის ავტორს ესეც არა აქვს მხედველობაში მიღებული!

ქ. გოგოძეს კატო უფრო დიდი სიყვარულით ჰყავს მოხაზული. აქაც მან კატოს სრულიად გარდაქმნა. ლომოურის კატოსავან დარჩა მხოლოდ „ეშმაკობა და კულიანობა“, ყიყლიყოს თქმა და კაჭკაჭივით ჩხავილი. პესაში ის ცველაზე თვალსაჩინო ფიგურა: მომქმედი, მარდი, შეგნებული, ენამახვილი და ყოველგვარი „ეშმაკეულობისა“ და ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ უშიშრი მებრძოლი.

ქ. გოგოძის კატო ნ. ლომოურის კატოსავით არ დაძაბუნებულა. პირიქით, ბაბალეს მკითხაობას თვალიანვე დასცინის: „ისეთ რაღაცებს ბუტბუტებს, რომ ვერაფერს გაიგებ და სიცილით მოკვდებიონ“, ან კიდევ: „ბადიაში წყლისგან დაბერილი მარცვლების მეტს რომ არაფერს ვხედავ, დიდებო? დახე, როგორ ნათლია ნინიკასავით დაბერილი ი პურის მარცვლები?“ და სხვ. ბავშვი ინსტიტიუტიდ გრძნობს ნინიკას სიძულვილსაც. ბაბალეს ხომ ერთავად ეკამათება: „ყარაიაზე შენ გიცხოვრიაო? თუ არა, აბა საიდან იცი, რომ იქ მკვდრები ცოცხლდებიანო?“ და სხვ.

უნდა ოღინიშნოს, რომ თეატრის კოლექტივმა პიესის ტიპაჟი გაამდიდრა და გააციცლა. ქაჯანას როლს ასრულებენ: თამარ თვალიაშვილი და მარგო ჭიათურელი. თ. თვალიაშვილი, როგორც დახელოვნებული მსახიობი, ცდილობს შეავსოს პიესის ავტორის სიძუნწე და მეტად გააცხოველოს ქაჯანა. მაგრამ მსახიობი დაბწენულია, და არ იცის როგორი ქაჯანა მონახოს: საქმიანი, მკვირცხლი, დაუზიარელი, თუ ავადმყოფური, მხდალი და სულით დაძაბუნებული! აქედან გამომდინარეობს მისი გაორებული თამაშიც: წამს ცოცხალი და ცქვიტია, წამს სერიოზული, განსაკუთრებით სიმღერის დროს, წამს მხატვე, უსიცოცხლო, სულით დაცემული, (სიძუნწის დროს). ხოლო წამს თითქმის დავაკაცებულია, („ძია ვანო, მაგათ ვაჩვენებ, ჯერ გავიზიარდოვთ“.) მართალია, საერთოდ ბავშვის ბუნება ცვალებადია, მაგრამ არსებითად ის მაინც გულუბრყვილო ბავშვია. თვალიაშვილი კი ზოგჯერ ზომიერი არ არის




მართა

ა. ლეინიაშვილი

და ნაკლებ დამაჯერებელი ხდება (განსაკუთრებით სიმღერის დროს). სამაგიეროდ მსახიობს სიმღნივის სცენები კარგად აქვს დამუშავებული, მაგრამ აქაც მსახიობს ხელს უშლის გადაჭარბებული დაბეჩავება და მაყურებელიც რწმენას ჰქანანში.

რაც შეეხება მ. ჭიაურელს, იგი ახალგაზრდა მსახიობია, და პირველად ასრულებს ბიჭების როლებს, ხოლო ქაჯანა მისთვის პირველი სერიოზული როლთავანია. მ. ჭიაურელს ჯერჯერობით გაუბებდამა ეტყობა, სცენაზე თავს შებოჭილად გრძნობს და ეშინია გადაჭარბებისა. ეს ემჩნევა სიმუნჯის სცენებში, რომელიც ტექნიკურად ჯერ არა აქვს დამუშავებული და ამიტომ სრულიად პასიურობას და ენაგაუნდებელ მუნჯობას იჩემებს, მაგრამ მ. ჭიაურელს აქვს სითბო, სცენიური მიზიდვებისა, ეტყობა როლის გააზრების უნარი და განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ლირიული, ლამაზი ტემპრის ხმა, რაც მსახიობისათვის აუცილებელია.

კატოს როლს ასრულებს გ. კუპრაშვილი. კატოს როლში მსახიობმა ბევრი ნათელი შტრიჩი შეიტანა ცოცხალი თამაშით (მამასახლისთან სცენა—„აბა ქამფეტები“, კო-



ნინიკა

ა. კაჭკაჭიშვილი

ჭების წართმევა, პურის გამოთხოვა ქაჯანასთვის), - მაგრამ მსახიობი ზოგჯერ აჭარბებს და ზომიერებას ჰყარგავს, სიტყვებს ჭიმავს და კატოს წარმოგვიღებენ გაიძვერა ეშმაკად და გამოქვექილ ადამიანად (ბაბალესთან გამომცდელი კამათი). ისიც ოდსანიშნავია, რომ ბავშვის იერს სრულიად უკარგავს გადაჭარბებული ხელების ტრიალი, თვალის ჩაეკრა. გ. კუპრაშვილს სუსტი ადგილიც აქვს. ეს გახლავთ მისი განზრახვა გადაიცვას და შეაშინოს ქაჯანა. ეს სცენა მეტად მკრთალად აქვს მსახიობს დამუშავებული, ხოლო მსახიობს გარეგნობა უფრო დედავაცისა აქვს, ვიდრე 11 წლის ბავშვის.

ლომოურის კიკოლას ყველაზე უკეთ ა. ყიასაშვილი ჩასწერდა კიკოლა „ჩვენი გონიერი და გამოცდილი გლეხთაგანი“ იყო. მას საქართველოს თითქმის ყველა კუთხე უნახავს, „განუწყვეტლად მუშაობდა“, თუმცა „წლის სარჩო მაინც არ მოსდიოდა“, მაგრამ მაინც ეხტიბარს არ იტეხდა; ვალს არ იღებდა, კარზე არავის აღვებოდა სათხოენელად და ხალხში მუდამ მხიარული გამოდიოდა“. უყვარდა შაირობა და ხუმარას

სახელი ჰქონდა გავაჩდნილი ახლომახლო სოფლებშიც.

მაგრამ კიკოლა სიმწარემ და შვილების უზომო სიყვარულმა გადააქცია „სახედალ-ვრემილად და სულითა და გულით დაცემულ ადამიანად“. ოთხი საყვარელი შვილი თითქმის ერთად დამარხა. აი ამან გაწყვიტა წელში პატიოსანი მშრომელი, სოფლის ზეგ-ჩვეულების მტკიცე შემსრულებელი გლეხი, ამან ჩაგდო ვალში და ცრუმორჩმუნეობა-მაც შეიძყრო ისე ძალუმად, რომ შვილის მოსარჩენად მზად არის თავის კარმილამოც კი გაყიდოს.

ყიასაშვილი თავის თამაშით ამას გვაგრძნობინებს. ის მოსიყვარულე მამა თავისი შვილებისა, განსაკუთრებით ქაჯანასი. მისი ალერსიანი თქმა: „რა იყო გენაცვალოს მამა“, სოფლებში, ბევრჯერ ნანას გლეხებს გაგახსენებთ. მაგრამ კიკოლა მაინც სუსტი ნებისა, სულით დაძაბუნებული და ცრუმორჩმუნეობის მონაა. ამის გამომცემება საუცხოვოდ შესძლო ა. ყიასაშვილმა ნინიკასთან კარმიდამოს გაყიდვის სცენაში. მხოლოდ მსახიობი სითბოსა და განცდას ჰყარგავს ქაჯანას დამუშავების ღროს. მსახიობს უნდა ახსოვდეს: „ვაიმე, შვილო, სიმონა!“ — დაიღრიალა ერთი კიკოლამ და მუხლმოკეცილი ჩაჯდა იქვეო. კიკოლას ბუნებისათვის ეს დამახასიათებელია და მსახიობსაც ამ სცენის გადასინჯვა დასჭირდება.


პიესაში ყველაზე პასიური და სქემატიური როლი მართასია. მას სიტყვიერი მასალა თითქმის არ გააჩნია, გარდა „უი, უი“-სა, და ჭინკებზე საუბრისა. ამიტომ მსახიობებს: ა. ღვინიაშვილს და მ. მესხიშვილს არ ეძლევათ საშუალება გავაცნონ რას წარმოადგენს ეს სოფლელი გლეხის ქალი. მ. მესხიშვილს გარეგნობა უფრო ტიპიური სოფლელი ქალის აქვს, ვიდრე ა. ღვინიაშვილს, ხოლო ამ უკანასკნელმა თავისი ოჯახისადმი და შვილებისადმი სითბო უფრო მეტად გამოიჩინა, ვიდრე მ. მესხიშვილმა. მ. მესხიშვილს საერთოდ ეხერხება გლეხის ქალების უკეთ განსახიერება, და საჭიროა ამ როლ-საც დატყოს თავისი უნარი.

თვალხარბი მამასახლისი ნინიკა ა. კაჭება-  
ჭიშვილი და დ. კობახიძეა. ა. კაჭებაჭიშვილმა  
გაიძევერა, თვალხარბი და მატყუარა მამასა-  
ხლისის როლი ტიპიურად განასახიერა. გაი-  
ძევრული მიხვრამოხვრა, შემპარავი ხმი,  
მლიქვნელი და ლაქუცა — აი კაჭებაჭიშვილის  
ნინიკა. ზოგჯერ კი მსახიობი სიტყვებს ჭი-  
მავს, თეატრალობს (ბაბალესთან საუბარი)  
და შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. ასეთი არ  
არის დ. კობახიძე. ის უფრო თითქოს ლმო-  
ბიერია, დინჯი. უულელვებელი, მშრალი და  
უფრო დარბასელის შთაბეჭდილებას ტო-  
ვებს, რაც გამართლებული სრულიად არ  
არის. ამ მსახიობის სხვა როლები უკეთ და-  
მუშავებული გვინახავს, ვიდრე მისი ნინიკა.

მკითხავი ბაბალე ნ. სირბილაძე და მ. ერგნელია. ნ. სირბილაძის ბაბალე აშკარა  
ბოროტი აღამიანია, მის ცივ ხმაში, სიმკაც-  
რეში, პოზაში ეტყობა აშკარა მტრობა. ამით  
გლეხობაში ვერ დაიმსახურებდა ნდობას და  
მოკეთობას; მსახიობი უფრო სიტყვებით თა-  
მაშობს, ხოლო ბაბალეს შინაგან ბუნებას  
ნაკლებ აქცევს ყურადღებას. მსახიობს კარ-  
გი მომენტი აქვს, როდესაც პატარა სოსიყის  
მოისყიდის ქვის ჩასაგდებად კიკოლას ოჯა-  
ხში. მ. ერგნელი გლეხებთან უფრო გაიძე-  
რულადაა; მის თაფლივით ხმაში შხამს ვერ  
ატყობს გლეხი და ამიტომ ერგნელი უფრო  
დამაჯერებელია: გლეხებს ადგილად მოინა-  
დირებდა და დაიმორჩილებდა ასეთი ადა-  
მიანი. ერგნელს აქვს შესანიშნავი ადგილი:  
მკითხაობის დროს მოსახვევს გადაიწევს, და  
ამ ტკბილ მოხუცში მართას ოჯახი მტერს  
უერა ხედავს.

მსახიობები გარეგნობითაც განსხვავდე-  
ბიან: ნ. სირბილაძე უფრო ახალგაზრდა და  
ომახიანი ბაბალეა, ხოლო მ. ერგნელი შელ-  
ში მოხრილი, სახე დანიოჭებული, თმაშევერ-  
ცხლილი.

მოჯამავირე სოსიკა გ. დეისაძე და მ. ალ-  
ნიაშვილია. ამ უკანასკნელს კომიზმი უფრო  
ახასიათებს. ის სრულიადაც არა ჰქმნის და-  
ბეხავებული მოჯამავირის სახეს, ის უფრო  
გაიძევერა და გაქნილია; გ. დეისაძის სოსიკა




ვანო

ს. გავრეკელი

უფრო გულუბრყვილო, მიმნდობი და ალალ-  
გართალია.

სქემატიურია ვანოს როლი. მიუხედავად  
ამისა ს. გამრეკელს შრომა არ დაუკლია მის  
სწორად განსახიერებისათვის. ს. გამრეკელი  
მიზანშეწონილი მოძრაობით, გლეხებში რა-



სოსიკა

მ. ალნიაშვილი

რაც ჩურჩულით, თითქოს ავსებს ვანოს ცარიელ იდგილებს. შ. ჩხივაძე ამ როლისათვის სრულიად შეუფერებელია. ის უფრო ვანოზე კარიყატურას გვაგონებს.

სპექტაკლის რეეისორი ამავე თეატრის მსახიობი გ. დარისპანაშვილია. მას საკმაო მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რომ სპექტაკლი გამოსულიყო ხალისიანი და საინტერესო. მაგრამ ჯერ რეეისორული ოსტატობა და გაქანება იქნია. რეეისორი ზოგჯერ მხატვრის გავლენის ქვეშ ექცევა: კიკოლას ბანი, კარმიდამო, წყარო თითქმის გაერთიანებულია და გლეხები იძულებული არიან ბანზე იტრიალონ, რაც სხვათაშორის, ქართლისათვის არც ისე დამახასიათებელია.

რეეისორს პატარა მასიური სცენების გაკეთებაც ვერ ეხერხება: გლეხების განლაგება ბანზე სიმღერის ღროს ხელოვნურია, არა ბუნებრივი, ასევეა კიკოლას კარმიდამოს გაყიდვისას მოწმების დგომაც. ხოლო გლეხებს არავითარი მოძრაობა არ ეტყობათ და მათ სახეზე სრული გულგრილობა და უმოძრაობაა, როცა თონიკე მათ რისხვით მიმართავს, თითქოს ეს მათ არც კი შეეხებოდეთ.

აღსანიშნავია რეეისორის მიერ ზოგიერთი მომენტის კარგად მოფიქრება: ვანოსი და სოსიეს ხელის ჩამორთმევა, ვანოს მიერ ხელის მაგრად მოჭერა, რათა სოსიკამ იგრძნის ტკივილი (თუმცა მას ბევრჯერ სცემდნენ) და აღარ სცემოს პატარა რეზოს (ო. სანდომისაშვილი). სასკეთესო მომენტია ეკლესიის კლდეზე გოგო-ზიჭების (ი. ბერიშვილი, ე. ურუშაძე, რ. გარსევანიშვილი, ო. თოხაძე) ყურყუმებივით ამოძრომა, მათი შეთქმულება ქაჯანას ოჯახის გასაღევნად.

სპექტაკლის მშატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ დ. თავაძეს. სამწუხაოობა მას ქართლის ბუნების უცოდინარობა ემჩნევა „ქაჯანაში“. ქართლის ბუნება თავისებურობა, კაშვაშა, ნათელი. მხსილ პეიზაჟი, პორტონტი და მიწა რბილია, ნოყიერი, გულუხვი. ყველა უმნიშვნელო კარმიდამო ხეხილში დგას. ასეთი ბუნება ასულდგმულებდა ქართლის გლეხობას მაშინაც კი, როდესაც მას ბატონყმობის მძიმე უღელი ედგა, თავაძის ქართლის ბუნებაში ჰაერს ვერ გრძნობს მაყურებელია იგი პირქუში, ციფი და გოროზია.

ერთი დეტალიც: ნ. ლომოური ამბობს: „ეკლესიასთან ურმით არ შეიძლება ასვლა. ამის გამო ყოველი მღლოცავი იყენებს ურემს სოფელში და თვით ბარგიბარხანით მიღის ზემოთკენ“. სცენაზე კი ეკლესიასთან ისეთი ურემია წამოჭიმული, რომ მსახიობებს ხელსაც უშლის.

სპექტაკლში ყველაზე გაუგებარია კომპოზიტორ ვ. შავერზაშვილის მუსიკა, თუ მას ასე დაერქმევა. კომპოზიტორს პანაშვიდის მუსიკის ზოგი ჰანგი გამოუყენებია ეკლესიის სცენების ღროს; ფანდურზე სასიმღერო მოტივი კი უფრო ოპერეტულია, ვიდრე ხალხური, დამუშავებული მელოდია. პირველი მოქმედების ორივე სიმღერა გაჭიანურებულია. უფრო სასიამოვნო და ლირიულია პირველი სიმღერა და ეკლესიის კარზე ქაჯანასი და კატოს გასიმღერება. კომპოზიტორს ესაჭიროება მეტი პასუხისმგებლობა. საერთოდ კი, ზოგჯერ საჭიროა მოზარდ მაყურებელთა თეატრმა სხვა კომპოზიტორებიც მოიწვიოს გემოვნებისა და სიახლის შესატანად.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

# დედა ენა

ნირველი ნაწილი.

კართული ანგანი

ჩატარა მოთხრობებით, ლექსებით, აღწერით და დედნით.

შესწორებული გამოცემა.



შეღენილი  
აკობ გოგებაშვილის-მიერ.

ტვილისი

# იაკობ გოგებაშვილის 100 წლის იუბილე

საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს დიდი ქართველი პედაგოგის, ქართული პედაგოგიის ფუძემდებლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, XIX საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთი ცნობილი მესვეურის იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავი.

იაკობ გოგებაშვილი ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმის საკეთილდღეოდ და ამ უდიდეს მოღვაწეობის დროს შეურიგებლად ებრძოდა ცარიზმის ყველა აგენტ-შავრაზმელებს, რომლებიც ლამობდენ ქართული კულტურის დაზაგრის, ქართული მშობლიური ენის სწავლების აკრძალვას სკოლებში.

მოწინავე პედაგოგიური იდეებით აღჭურვილი იაკობ გოგებაშვილი დაუღალავად ნერგავდა ამ იდეებს მის მიერ გამოცემულ სასწავლო წიგნებში და პედაგოგიურ წერილებში. მისი „დედა-ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკო სლოვო“ იშვიათი პედაგოგიური ხელოვნებითა და ოსტატობით არის შედგენილი და მასზე აღზრდილია მრავალი ათა ათასეული მოზარდი.

ცარიზმი ი. გოგებაშვილს მუდამ სდევნიდა, მაგრამ იგი არ გატეხილა ამ დევნა-შეკიწროვებით. იგი იმრჩოდა ამ დროსსთვეს როდესაც მისი სიტყვით „სამშობლოს უკეთესი მერმისი“ დადგებოდა.

ეს „მერმისი“ დღეს არის, როდესაც საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის სხვა მშრომელებთან ერთად ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხთა ბელადის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით დაამყარეს სოციალიზმი. და სწორედ ჩვენი დიადი ეპოქა აფასებს იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს და მდიდარ მემკვიდრეობას.

იაკობ გოგებაშვილის იუბილე ღირსეუ-

ლად იქნა გადახდილი საბჭოთა საქართველოს მშრომელების მიერ.

მოეწყო მთელ რიგ ცენტრებში, კულტურულ დაწესებულებებში ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამოები.

28 ოქტომბერს, თბილისში, რუსთაველის სახელობის ლენინის როდენოსანი სახელმწიფო თეატრის შენობაში შესღა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზეიმო სხდომა, ქ. თბილისის სახალხო განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა მონაწილეობით, მიძღვნილი გამოჩენილი პედაგოგის, მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის—ი. ს. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი.


დარბაზი ხალხით გაიცსო საზეიმო სხდომის დაწყებამდე დილისნით აღრე.

თეატრის დარბაზი მორთულია ლოზუნგებით. სცენის ზევით, წითელ ტილოზე წარწერილია მისასალმებელი სიტყვები ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისად მი. ს. ციცელის სილრმეში,

უზარმაზარ წითელ დროშებს შუა მოთავსებულია ამხანაგ სტალინის ფიგურა, მარჯვნივ — დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ ლ. პ. ბერიას პორტრეტი.

ავანსცენაზე ცოცხალი ყვავილებით შემკვბილი პორტრეტი ი. ს. გოგებაშვილისა. აქვე დიდ ფარებზეა „დედა-ენის“ და „ბუნების-კარის“ მაკეტები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ი. თავაძე, ა. კვაბაძე, ავადემიკოსები ი. გავახიშვილი, ი. ბერიტაშვილი, პროფესორები ა. მაჭავარიანი, ა. განელიძე, ნ. ჯეცხველი, ს. განაშია, პედაგოგები პ. კაპანაძე, ი. გომელაური, ი. სიხარულიძე, ვ. ბურჯანაძე, ა. ხუსკივაძე, ნ. ნაკაშიძე, ლ. ბზენანელი (ნაცვლიშვილი), ა. შვანგარიძე, კ. თოხაძე, თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი დ. ყიფშიძე, მწერლები შ.



სახლი სოფ. ვარიანში სადაც დაიბატა იაკობ  
გოგებაშვილი  
ნაზატი მჩატვ. ვ. ჯაფარიძისა

დადიანი, ი. აბაშიძე, ა. მაშაშვილი, ბ. ულენტი, გ. ლეონიძე, ხელოვნების მუშაკები ა. ჯასაძე, შ. ლამბაშიძე, ე. სოხაძე, ვ. ანგაფორიძე, ლ. ვრუბლევსკაია, ქომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი, ამხანაგები თ. ბირკაძე, მ. ბურჭულაძე, ბ. კიზირია, ბ. გოგუა, ა. გიორგაძე და სხვ.

ლოუებში არიან ამხანაგები ფ. მახარაძე, ქ. შეროზია, გ. სტურუა, მ. ჯაში, ა. მირცხულავა, გ. გოჩაშვილი და სხვ.

კრება უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევს საპატიო პრეზიდიუმს. კრების მონაწილენი ხანგრძლივი მქუჩარე ოვაციით ხვდებიან წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას ხალხთა ბელადი დიდი სტალინი, მ. ი. კალინინი, ქ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. უდანოვი, ა. ა. ანდრეევი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერინი, კ. მ. ჩარაძე, ნ. ა. რამიშვილი, ა. ა. გოგუა, ა. გიორგაძე და სხვ.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარმა ამხ. გ. კიკნაძემ.

ი. ს. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოვაწეობის შესახებ დიდი მოხსენებით გამოვიდა პროფ. გ. თავიშვილი.

მოხსენების შემდეგ ი. გოგებაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სიტყვებით გამოვიდნენ აკადემიკოსი ი. ჯა-

ვახიშვილი, მწერალი შ. დადიანი, ქომპოზიტორი ქ. ფოცხვერაშვილი, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი ელ. აგლაძე, პედაგოგები ნ. კანდელავი და ა. აირაპეტიანი, მოწაფე ც. ასათიანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანში ამხ. ვ. ეგნატაშვილმა გამოაქვეყნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და საქართველოს სახომმამართის დადგენილება ი. ს. გოგებაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ, რასაც კრების მონაწილენი ტამით შეხვდნენ.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით, ხანგრძლივი მქუჩარე ოვაციით კრებამ მიიღო მისალმება მთელი მსოფლიოს შშრომელთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

ახალი ძალით იგრიალა ტაშმა, როდესაც წაყითხულ იქნა მისალმება სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგლ. პ. ბერია და სხვ.

საზეიმო სხდომის შემდეგ შესდგა მხატვრული ნაწილი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ა. ვასაძემ, დ. გამრეკელმა, მ. ნაკაშიძემ, პ. ამირანაშვილმა, ე. სოხაძემ, ვ. ანგაფარიძემ, თ. ბაქრაძემ, ლ. ვრუბლევსკაიამ, მ. დოლიძემ.

26 ოქტომბერს მწერალთა სახლში შესდგა საზეიმო სალამო. შესავალი სიტყვა წარმოსთხვა ირ. აბაშიძემ. მოხსენებით ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გამოვიდა თბილისის ამხანაგსტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ლოც. დ. ყიფმიძე. მოგონებებით და სიტყვებით ი. გოგებაშვილის შესახებ გამოვიდნენ მწერლები. ნ. ნაკაშიძე, ლეო ქიაჩელი, ლ. მეტრეველი, თ. სახელია, ი. მჭედლიშვილი, ი. სიხარულიძე, პოეტმა გ. კაჭახიძემ წაიკითხა ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი „დედა ენა“.

ი. გოგებაშვილის სამშობლო სოფ. ვარიანში ჩატარდა მიტინგი მთავრობის საიუბილეო კომისიისა და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მონაწილეობით.

ობილისის ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში 25 და 26 ოქტომბერს ჩატარდა სამეცნიერო სესია. სესიაზე მოსმენილი იქნა მოწინავე მეცნიერთა თო მოსხენება, რომლებითაც გაშუქებული იყო ი. გოგებაშვილის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა.

სამეცნიერო სესია ჩატარა ვორის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა.

გამოჩენილი პედაგოგისა და საზოგადო მოღაწის ი. გოგებაშვილის დაბადების ასიწლისთავის აღსანიშნავად საჭ. სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 28 ოქტომბრის ბრძნებულებით მიენიჭა ი. გოგებაშვილის სახელი: 1) თელავის სამსახურლებლო ინსტიტუტს, 2) ვორის პედაგოგიურ სასწავლებელს, 3) თბილისის I პედაგოგიურ სასწავლებელს და 4) ვორის რაიონის სოფ. ვარიანის არასრულ საშუალო სკოლას.

მთავრობის საიუბილეო კომისიამ გადასწყვიტა თბილისი თვალსაჩინო ადგილას დაიდგას ი. გოგებაშვილის ბიუსტი და მემორიალური დაფები გაკეთდეს სოფ. ვარიანში სახლზე, სადაც დაიბადა ი. გოგებაშვილი და თბილისში ცეკინის ჭუჩაზე სახლზე, სადაც იგი სცხოვრობდა. კომისიის დადგენილებით განსახომი 1941 წ. საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინებს ი. გოგება-

შვილის „ბუნების კრის“ და „რეაციუს სლოვოს“ რესტავრირებული სახით გამოცემას.

ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი დიდი კომიტეტი მოეწყო თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქ. საბჭოთა მხატვრების სამხატვრო გალერეიაში.

სახელგამმა გამოსცა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა-ენა“ აღდგენილი 1912 და 1916 წლების გამოცემათა მიხედვით.

თბილისის ამხანაგ სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია, შედგენილი დ. კასრაძის მიერც. ევნატაშვილის რედაქციით.

საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობაში გამოსცა ი. გოგებაშვილის რჩეულ მოთხოვნათა კრებული.

გამოსცა „საბჭოთა მასწავლებელმა“ გამოსცა ი. გოგებაშვილის მხატვრული პლაკატი „ი. გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ი. გოგებაშვილის ნეშტი 27 ოქტომბერს დიდუბის პანთეონიდან გადასვენებული იქნა მთაწმინდის მწერალთა პანთეონში და დაკრძალული ილია ჭავჭავაძის საფლავის მანლობლად.

## იაკობ გოგებაშვილი ეართული ხელოვნების შესახებ

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობამ უაღრეს განვითარებას მიაღწია. ამ მოძრაობის ერთერთ უძლიერესიარას წარმოადგენდა აგრეთვე ქართული ნაციონალური ოეატრი. ჩვენ ვიცით, რომ დიდი ილია და აკაკი. ორთავე უმუალო და ქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქართული ოეატრის მუშაობაში. და საერთოდ იშვიათი იყო იმ დროს ისეთი მწერალი, ან საზოგადო მოლვაშე, რომელიც არ ყოფილიყო დაინტერესებული ქართული ოეატრის

მუშაობით და ბედით, ან და არ გამოეთქვათავისი აზრი მის შესახებ.

დიდი ქართველი პედაგოგი და გამოჩენილი საზოგადო მოლვაშე იაკობ გოგებაშვილი, პირველ შეხედვით, თითქოს მხოლოდ პედაგოგიურ და ვიწრო პუბლიცისტურ წერილებს ათავსებდა იმდროინდელ ქართულ ეურნალ-გაზეთებში, მაგრამ მასაც არ შეეძლო გვერდი აეხვია ქართულ თეატრის საკითხისათვის. და მართლაც ი. გოგებაშვილის დიდ ლტტერატურულ მემკვიდრეობაში მოიძებნება ისეთი წერილებიც, საღაც იგი



იაკობ გოგებაშვილი. „ცხრა ძმა“

ნარატი მჩატვ. ელ. აზელედიანისა



ი. გოგებაშვილი

„იავ-ნანაშ რა ჰქმნა“

ნახატი მხატვ. კ. ჭავჭავაძისა

ეხება ქართულ თეატრის, და საერთოდ, ხელოვნების მტკიცნეულ საკითხებს. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ წერილების შესახებ, რომელიც მოთავსებულია 1910 წელს გამოცემულ იაკობის რჩეულ ნაწერების პირველ ტომში.

1904 წელს „ივერიის“ № 240-ში იყობდ გოგებაშვილს მოთავსებული აქვს წერილი „ქართული თეატრის გაჭირვება“. საქმე იმაშია, რომ იმდროისათვის, როდესაც ეს წერილი იწერებოდა, თბილისის დრამატიულ დასს აღარ ჰქონდა თავისი საჯუთარი ბინა წარმოდგენების გასამართვად და მას უხდებოდა ხან „არტისტულ“, ხან „სახაზინო“ თეატრებთან შეკველება. ი. გოგებაშვილის თქმით „დავგრია მოელი დასი უბინაოდ, უკერძო, ქუჩის ამარა“. რა იყო ამის მიზეზი? ცნობილია, რომ იმ დროს ქართული თეატრი იმყოფებოდა ეგრ. წოდ. არწრუნისეულ თეატრის შენობაში (სადაც ახლა გრიბოედოვის სახ. რუსული თეატრია). მაგრამ თეატრის ამ შენობაში, როგორც იყობი სწერს, „მეორე-მესამე წლიდგან ზემო კედლებმა დარღვევა იწყო, და

თუმცა დარღვეული კედლები ბევრგან შებოჭეს რკინებითა, მაინც დარღვევა ვერ შეაყენეს“.

ქართული დასის უბინაოდ დარჩენა მეტად აფიქრიანებს იაკობ გოგებაშვილს, რაღან მისი თქმით „ყველა კერა ჩვენის ეროვნულის ცხოვრებისა მეტამად თითქმის გაუქმებულია და შემაერთებელ ცენტრად დარჩენილია ერთადერთი ეროვნული თეატრი...“ და მართლაც იმ დროს, გარდა ლადო მესხიშვილისა, რომელიც ქუთაისში მოღვაწეობდა, თითქმის ყველა ჩვენი გამოჩენილი მსახიობი თბილისში მუშაობდა. ამრიგად თბილისის ქართული დასი საუკეთესო არტისტებისაგან შესდგებოდა, მაგრამ როგორც „არტისტიული თეატრი“ (ახლანდელი რუსთაველის სახელობის), აგრეთვე „სახაზინო თეატრი“ (ახლანდელი სახოპერა), შენობით სარგებლობისათვის დიდ ქირას მოითხოვდნენ, რომლის გადახდა ჩვენს დრამატიულ დასს მეტად უძნელდებოდა. ამიტომ იაკობი იძლევა წინადაღებას აბონემენტების შემოღებისა: „შემძლებელმა ქართველებმა აბონემენტი აიღონ ყველა ლოგებისა და პირველის რიგის სავარძლებისა პარტერში, დანარჩენს აღიღლებს ადგილად გაასაღებს ჩვეულებრივი სათეატრო პუბლიკან“.

ი. გოგებაშვილი დიდ მნიშვნელობას აკუთვნის ქართულ თეატრს და მოითხოვს, რომ კვირაში ერთხელ მაინც გაიმართოს ქართული წარმოდგენები, სადაც „ვისიამოვნებო ტებილის ქართულის ენით, რომელიც გავევბულია ყოველგვარის დაწესებულებიდან, დავსტკბებით ჩვენთა მსახიობთა ნიჭიერ თამაშით, ვნახამთ ერთმანეთს, მოვილაპარაკებით დღიურს ვარმებზედ, გავაცოცხლებით ერთმანეთს და ცოტათი მაინც განახლებული დავტრუნდებით შინა“.

ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის იდეების თვალსაზრისით უდგენა იაკობ გოგებაშვილი ქართულ ხელოვნების სხვა დარგებსაც, მეტადრე ქართულ ხალხურ სიმღერას, როდესაც მოითხოვს „ქართული ნაციონალური ხოროს“ შექმნას. (იხ.

1907 წელს „ივერიაში“ მოთავსებული წე-  
რილი „ქართული სიმღერის ხოროს შესა-  
ხებ“). ამას ისევე, როგორც თეატრის საკითხს,  
იყობი უღება ნაც.-განმათავისუფლე-  
ბელ ბრძოლის პოზიციებიდან და იგონებს  
ჩეხელებს, პოლონელებს და ორლანდიე-  
ლებს, რომელიც ანალოგიურ მდგომარეო-  
ბაში იმყოფებოდნენ, როგორც ქართველე-  
ბი. იგი სწერს „ჩეხელებს, პოლონელებს,  
ორლანდიელებს და სხვა დამონავებულ  
ერებს უდიდესი სამსახური გაუწიეს ნაციო-  
ნალურმა სიმღერამ, ნაციონალურმა ხო-  
რებმა... ჩვენც ამგარსავე სიკეთეს შეგვ-  
ძლვნის ქართული ეროვნული სიმღერა, ქარ-  
თული ნაციონალური ხორო“, რადგან ხალ-  
ხური სიმღერა, იყობის აზრით, დამონავე-  
ბულ ერს „უძლიერებს სიხარულს, უნე-  
ლებს სიმწუხარეს, უქარვებს დარღებს, ივ-  
სებს მხეობით, ფრთებს ასხამს ყოველ  
კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულ  
გრძნობას“.

აქე უნდა აღინიშნოს, რომ ი. გოგება-  
შვილი არა მარტო თეორიისულად და მხოლოდ  
წერილების მოთავსების სახით იბრძოდა  
ქართულ ეროვნულ კულტურის განმტკიცე-  
ბისათვის, არამედ პრაქტიკულადაც იღებდა  
მონაწილეობას ამაში. მაგალ. 1881 წლის  
გაზ. „დროებაში“ მოთავსებულ წერილი-  
დან „ვინ და როგორ გადაიღო პირველად  
ნოტებზე ქართული ხალხური სიმღერები“,  
ჩვენ ვვებულობთ, რომ ქართული ხალხური  
სიმღერების პირველად ნოტებზე გადაღება  
მოხდა იყობის თაოსნობით და ინიციატი-  
ვით. ი. გოგებაშვილმა ეს საქმე ღიმიტრი  
ყიფიანის ასულის ელენეს დახმარებით მიან-  
დო მიხეილ მაჭავარიანს, რომელმაც ჩინე-  
ბულად შეასრულა კიდევაც დავალება. საი-



ი. გოგებაშვილი. „იავ-ნანაშ რა ჰენა“  
ნახატი მზატ. კ. ჭავჭავაძისა

ნტერესობა აქვე აღინიშნოს იყობის მიერ  
მოცემული ზოგიერთ ქართულ ხალხურ სი-  
მღერების დახასიათება, მაგალ. ცნობილ სი-  
მღერის „თამარ მეფე და ხონთქარის“ შესა-  
ხებ იყობი სწერს, რომ ეს სიმღერა „გან-  
საკუთრებულ მხეობას და ბრძოლის სურ-  
ვილს უბადამს კაცს გულში და გმირულის  
სასიათისაა“ და სხვ.

ცხალია, რომ მარტო ამ ორ-სამ წერილით  
არ უნდა განისაზღვრებოდეს იყობ გოგება-  
შვილის დამოკიდებულება ქართულ ხელოვ-  
ნებასთან. არ შეიძლება რომ მას არ ჰქონ-  
დეს კიდევ სხვა წერილები ან ნაწერები, სა-  
დაც მისი შეხედულებანი თეატრისა, და  
საერთოდ ხელოვნების, შესახებ ყოფილიყო  
გამოთქმული. ამ მხრივ საჭიროა ჩვენმა თეა-  
ტრის და ხელოვნებათმცოდნეობამ გააშუ-  
ქოს იყობის მოღვაწეობის ეს ჭერ კიდევ  
დაუმუშავებელი და გაურკვეველი მხარე.

# ქართული მასივე\*

(ცოდლე ისტორიული ნაწარები)

(წერილი მეორე)

გადავიდეთ ახლა სოფლურ სამუსიკო კულტურაზე და შევეხოთ ხალხური სიმღერების სტრუქტურას, მათ მუსიკალურ და ტექსტუალურ შინაარსს.

როგორც უკვე აღნ შენული გვქონდა, მიუხედავად ეკლესიის, რომელიც გულმოძგინეთ ნერგავდა ქრისტიანულ მუსიკას, და უგრეთვე სამეცნ კარის და გაბატონებულ კლასის, რომელნიც გამოდიოდენ „ყოველგვარი სახის საყოფაცხოვრებო მუსიკის წინააღმდეგ“, მიუხედავად მათი ძლიერი დევნისა, — ქართულ ხალხურ მუსიკამ მაინც დააღწია თავი მისთვის უცხო სამუსიკო ენას და, გაიარა რა თავის ისტორიულ გზაზე მთელი რიგი სტადიები, შესძლო შეენარჩუნებინა ძირითადად თავისი თვითმყოფელობა.

ხოლო, ამით სრულიადაც უარყოფილი არ არის ის გავლენა, რომელიც უნდა მოეხდინა ქართულ მუსიკაზე მომიჯნავე ქვეყნების სამუსიკო კულტურას იმ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენათა გამო, რაც საქართველომ მთელი რიგი საუკუნეების მანძილზე განიცადა. და ეს სრულიად ბუნებრივიცაა.

მაგრამ, ისიც აშკარაა, რომ ეს გავლენა ძლიერი არ აღმოჩნდა და დაძლეულ იქნა მით, რომ გარედან მონაბერი ელემენტები დაემორჩილნენ ქართული სამუსიკო ფოლკლორის ძირითად კანონს, ვინაიდან ამ ფოლკლორმა უძველეს დროიდან შეიმუშავა განსაზღვრული მელოდიური და ჰარმონიული სტრუქტურა ყველა იმ ნაირსახეობით, რაც ძირითადად განესხვავება აღმოსავლურ და დასავლეთ-ევროპულ სამუსიკო ენას.

ქართული სამუსიკო ფოლკლორი ღრმა ფესვებით არის გადახლართული ქართველი მშრომელი ხალხის მთელი ცხოვრების შინაარსთან. სიმღერა ხალხისათვის თითქოს მამოძრავებელი ძალა იყო და თანასდევდა მისი ცხოვრების ყოველგვარ გამოვლინებას. იძულებითი შრომა, ბუნებასთან ბრძოლა, ხალხის აჯანყებანი, ისტორიული მოვლენანი, გმირების თავგადასავალი, სხვადასხვა წეს-ჩევულებანი, შელოცვანი, ცხოვრების უკუღმართობანი, დაბადება, ქორწილი, სამგლოვიარო გოდება, ლაშქრობანი, ფერხული, ნადირობა, სულიერი განცდები, ცეკვები—ის მრავალფეროვანება, რაც საფუძვლად უდევს ქართული ხალხური სამუსიკ შემოქმედების შინაარსს.

ქართული ხალხური სიმღერები სამუსიკო-ნობრივი დიალექტის მიხედვით შეიძლება დავყოთ ქართლ-კახურ, თუშ-გუვესურულ, მოხეურ, მთიულურ, იმერულ, გურულ, მეგრულ, რაჭა-ლეჩესუმურ, სვანურ, აჭარულ, მესხურ და ჭანურ ანუ ლაზურ სიმღერებად.

ყველა ესენი ცალ-ცალკე წარმოადგენენ ქართული სამუსიკო ფოლკლორის ისტორიულად გამომუშავებულ ტიპს. მათ შორის შესაძლებელია დავადგინოთ განსხვავება არა მარტო სამუსიკო ენის მხრივ, არა მედ სამუსიკო მარაგის და მისი გამომულავების ფორმის მხრივაც.

ვიდრე გადავიდოდეთ ქართული სიმღერების გარჩევაზე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული სამუსიკო ფოლკლორის განსაკუთრებულ თვისებას, სხვა ხალხთა სიმღერებთან განსხვავებით, წარმოადგენს ის, რომ ქართველებს არა სჩვევიათ უნისონური ანდა ოქტავური მღერა, თუ არ მივიღებთ

\*) იბ. 1939 წ. „სამჭოთა ხელოვნება“ № 11

შევსურების ქველთა-ქველი სიმღერების ზოგიერთ 'ნიმუშებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწის პრიმიტიული სახით, როგორც სამუსიკი ენის, ისე შესრულების ტექნიკის მხრივ. ქართული გუნდური სიმღერები უსათუოდ მრავალხმიანია. და ეს მრავალხმიანიცაც ემყარება განსაკუთრებულ პრინციპს, დამახასიათებელს მხოლოდ ქართული სიმღერებისათვის: ზევითა ორ ხმას, ე. ი. პირველს და მეორეს, მღერის თითო შემსრულებელი, ხოლო დაბალ ხმას, ანუ ბანს—მრავალი. გამონაკლისის სახით არსებობს რამდენიმე საგუნდო სიმღერა, როგორც მაგალითად, გურული „ალი-ფაშა“, „გახტანგური“ და სხვა, სადაც თვითონეულ ხმას თითო მომღერალი ასრულებს.

რაც შეეხება ერთხმიან სიმღერებს, ამას ასრულებს არა გუნდი, არამედ ერთი მომღერალი, ხოლო ორგვარი სახით, — ან დამოუკიდებლივ, ან რომელიმე სამუსიკო საკრავის თანაყოლებით.

კიდევ ერთი თავისებურება ქართული ხალხური საგუნდო სიმღერის შესრულების ტექნიკისა, რომელიც ისტორიულად გამო-

ვაწრო ნათესაური წრე, ან ზოგიერთი მუსიკალური ოჯახები, საღაც სიმღერის შესრულებისას ოჯახის ყველა წევრი იღებს მონაწილეობას ასაკისა და სქესის დამოუკიდებლივ, ხოლო მეორეს მხრივ მიცვალებულის დატირება „ზარით“ და ინფექციური ივალდებულობით შეპყრობილ ბავშვის დასამშვიდებლად განკუთვნილი სიმღერა „იავნანო“, რომლებსაც ქართლ-კახეთში ასრულებენ ქალები ორხმად, ან და ზოგიერთი საფერხულო სიმღერა, მოღწეული ჩვენამდე ერთხმიანი შესრულებით ფერხულში მონაწილე ქალების მიერ.\*)

ვიდრე შევეხებოდეთ საქართველოს თვითონეული კუთხის სიმღერებს ცალ-ცალქე, საჭიროა ალინიშნოს, რომ ქართველებს განვითარებული აქვთ განსაკუთრებით ვოკალური და ვოკალურ - ინსტრუმენტულური მუსიკა. რაც შეეხება წმინდა ინსტრუმენტულურ მუსიკას, ეს ქართული სამუსიკო ფოლკლორის სუსტ მხარეს წარმოადგენს. მიუხედავად ქართული ხალხური სამუსიკო საქართველოს საკმაო რაოდენობისა და ნაირსახეობისა, ქართული ინსტრუმენ-

## ღიარაპაშვილის ფარხული



მაგალითი № 1

შუშავდა და მოაღწია ჩვენამდე: ქართველებს არ სჩევევიათ ქალ-ვაჟთაგან შემდგარი ხალხური საგუნდო ანსამბლები. ყველა ქართული საგუნდო სიმღერა, იქნება ეს ქალური, იმერული, გურული, ქართლური, მეგრული, რაჭული, სვანური თუ სხვა, მატორიულად სრულდება მხოლოდ მამაკაცების მიერ. აშკარაა, არსებობს გამონაკლისი. აუჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთის მხრივ

ტალური მუსიკა ვერ განვითარდა და ჩვენამდე მოვიდა პრიმიტიული სახით. მას იყენებენ უმთავრესად ცეკვის დროს.

\*) სანოტო მაგალითებად გამოყენებულია, როგორც საკუთარი მასალა, აგრეთვე ძველი ჩან-შერები, ამოკრებილი პაროვ. დ. არაყიშვილის, ზ. ფალიაშვილის, ან. ბენაშვილის, ია კარგარეთლის, ზ. ჩხიფვაძის კრეშელებიდან და ახალი მასალები კომპოზიტორ შ. მშვილიძის ხელნაწერებიდან.

ქართული ხყლეური მრავალხმიანობა, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, წარმოადგენს ორ და სამხმად დალაგებულ სიმღერებს, რომლებიც განსხვავებულად გვხვდება, როგორც სხვადასხვა ტომებს შორის, ისე თვითოულ ქართველ ტომში.

ოთხხმიანობას, რომელიც გვხვდება უმთავრესად დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით კი გურულ სამუსიკო ფოლკლორში, ვიღებთ გატეროფონული მოვლენის შედეგად, ე. ი. სამხმიან სიმღერაში ერთ-ერთი ხმის გაორების საშუალებით გარკვეულ მანძილზე, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ შემდეგ სიმღერაში. (ხ. მაგ. № 2).

აშკარაა აქ გვაქვს საქმე სამხმიანობასთან და არა ოთხხმიანობასთან, რაღაც ამ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა ოთხ ხმათაგან ყოველ ცალკეულ ხმას ჰქონდა დამოუკიდებელი ფუნქცია, რომელსაც ჩვენ აქ არ ვხედავთ და არც მოუღწევია ჩვენამდე რომელიმე სიმღერას ახეთი სახით.

## ხალხპატი

სამუსიკო ხელოვნება ხევსურებისა, რომლებიც, შეხიზულნი მთებში, მეტაღ დაშორებულნი არიან ქალაქის ცივილიზაციას, თითქოს შეყინულა ერთ წერტილზე, შეუჩენია რა სამუსიკო კულტურის უძველესი ფორმები.

ხევსურები მღერიან უმთავრესად ერთხმიან პრიმიტიულ სიმღერებს, რომლებსაც, საფანდურო სიმღერების გამოყლებით, ასრულებენ უნისონში, რაც ხაზს უსვამს მათ წარმოშობის სიძველეს. როდესაც პრა-

მდიდარ მასალას, ხოლო მეორეს მხრივ, ვოკალური ოსტატობის საუკეთესო ნიმუშებს. ჩვენ აქ გვაქვს მხედველობაში პირველ შემთხვევაში — თუშ-ცჟავ-ხევსურები, მოხევე-ვე-მთიულები, მესხები და ლაზები მათი პრიმიტიული სამუსიკო აზროვნებით, ხოლო მეორე შემთხვევაში — გურულები, რომელთა სიმღერებსაც განცვიფრებაში მოვყევართ თავისი ურთულესი სამუსიკო კონცერტით.

ხევსურები მღერიან უმთავრესად ერთხმიან პრიმიტიულ სიმღერებს, რომლებსაც, საფანდურო სიმღერების გამოყლებით, ასრულებენ უნისონში, რაც ხაზს უსვამს მათ წარმოშობის სიძველეს. როდესაც პრა-

### მაგალითი № 2

ჩვენ აქ, არ ვფიქრობთ რა დაწვრილებით შევეხოთ ქართულ ვოკალურ მრავალხმიანობას მთელი თავისი მრავალწახნაგოვანობით და რთული პრობლემატიკით, საჭიროდ მიგვაჩნია გავაშუქოთ მისი სამუსიკო ენის ყველა სირთულენი და დამახასიათებელი მომენტები.

პირველად ყოვლისა თვალში გვხვდება განსაცვიფრებელი მრავალფეროვანება ქართული მუსიკისა, რომელიც შეიცავს უძველეს ვოკალურ-ინსტრუმენტალურ მუსიკის

მიტიულობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ გვაქვს სახეში არა მხოლოდ ერთხმიანობა, რომელიც სრულიადაც არ შეიძლება მიღებული იქნეს სამუსიკო კულტურის დონის განსახლვისათვის, არამედ ის, რომ მათი სტრუქტურის სიმარტივესაც თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ზოგიერთი სიმღერა ინტონაციურად ჯერ კიდევ არაა ჩამონაკვთული, წყობა გამოუმედავნებელია და მოგვაგონებს უფრო აღგზნებული შეტყველების ინტონაციებს.

უნისონური სიმღერა ნაწილობრივ შერჩენილი აქვთ თუშებსა და ფშავებს, ხევსურების მომიჯნე ტომებს, თუმცა მათი სამუსიკო კულტურა შედარებით მაღლა სდგას და მათ საგუნდო სიმღერებს საფუძვლად უკვე ორხმიანობა უდევს. უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორ შალვა მშველიძის ჩანაწერების მიხედვით, (1929 წლის ექსპედიცია), ხევსურულ სამუსიკო ფოლკლორშიც კხედებით ორხმიანობის ერთ-ორ ნიმუშს, რომლებიც ერთხმიანობის მსგავსად, წარმოდგენილია პრიმიტიული სახით და ამასთანავე ფრიად თავისებურია. ერთ-ერთი სიმღერა დამახასიათებელია თავისი ღისონან-სებით, რომლებიც სრულიად გაუმართლებელია და მოგვაგონებენ ორი სხვადასხვა ხმის უფრო შემთხვევით შეხამებებს, ვიდრე ორხმიანობის ჩამოყალიბებულ სახეს.

ხევსური ქალების სიმღერა „ნანა“ მეტ წილად ძალიან შემოფარგლულია, როგორც მელოდიის, ისე დიაპაზონის მხრივ. იგივეს კხედავთ ერთხმიან სიმღერებში, რომლებსაც ხევსურები ფანდურის თანხლებით ასრულებენ. ეს სიმღერები სრულდება კვარტის ან კვინტის ფარგლებში და ამასთანავე მთელი მისი მელოდია მოქცეულია ერთ ან ორ ტაქტში, რომელიც პერიოდულად მეორდება.

სიმღერებს მეტი დიაპაზონით ახასიათებს ერთფეროვანი სტრუქტურა, — იწყება ზე-

### ვ ჭაური

*Allegretto.*

მაგალითი № 3

ვითა რეგისტრში და ეშვება ქვევით გამის მსგავსს, ან მელოდია ადის ზევით საფეხურებრივ და, მიაღწევს რა მშვერვალს, (არა უმეტეს მცირე სექსტისა ფუძიდან), ბრუნდება უკან და ჩამოდის უსათუოდ ფუძემდე, აკეთებს რა ნაბიჯს არა უმეტეს ტერციისა, რაც, უმნიშვნელო ცვლილებებით მეორდება პერიოდულად. ნახტომი, მცირე სექსტამდე, დასაშვებია ზევითა მიმართულებით.

ფშაურ და თუშურ ორხმიან სიმღერებში ზევითა ხმას ასრულებს ერთი მომღერალი, ხოლო დანარჩენები მღერიან ქვევითა ხმას — ბაშა, რომელიც, წარმოადგენს რა ჰარმონიულ ფონს, მეტ ნაწილად ჩაურთვის სიმღერის ბოლოს, თითქოს მუსიკალური აზრის დასამთავრებლად ან და მისი ჰარმონიული ფუძის საჩვენებლად. უმთავრესად ბანს კხედებით მეშვიდე საფეხურზე, რომელიც ბოლოს გადადის ტონიკაში. ფშავებისა და თუშების სიმღერების ტიპიურ მომენტს წარმოადგენს მელოდიის დაღმავალი მოძრაობა გაღიძებულ კვარტაზე, აგრეთვე შემცირებულ კვინტაზე და გადიდებულ კვინტზე და სეკუნდაზე. (იხ. მაგ. № 3).

ხევსურების მსგავსად თუშებსა და ფშავებსაც ნაკლებად მოეპოვებად ლირიკული და სატრიფიალო სიმღერები. მათ რეპერტუარში სჭარბობს გმირული, ისტორიული და საკულტო სიმღერები.

მოხევეების და მთიულების სამუსიკო ფოლკლორი უფრო მრავალფეროვანია მღერიან ერთ, ორ და სამხმიან სიმღერებს და ამასთანავე მათში უნისონურ სიმღერებს აღარ ვხვდებით. ერთხმიანი სიმღერები სრულდება ცალფად, ფანდურის ყოვლებით, რომელზედაც დიდის ოსტატობით უქრავენ. როგორც ასაყოლებელ, ისე საცეკვაო მუსიკას.

მოხევურ სიმღერებში, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად მათი მუსიკალური აზროვნების ორიგინალობისა და სიმღიდრისა, მაინც ემჩნევა, როგორც ჩრდილო კავკასიური, ისე ქართლური სამუსიკო ფოლკლორის ზოგიერთი ელემენტების შეთვისება.

მთიულების სამუსიკო შემოქმედებას კი ბევრი რამ აქვს საერთო ერთის მხრივ ფშაურ, ხოლო მეორეს მხრივ ქართლ-კახურ სიმღერებთან. მსგავსება გამოიხატება არა მარტო სამუსიკო ენის, არამედ ნაწალობრივ ტექსტუალური შინაარსის მხრავაც.

შევეხეთ რა მოხევეთა და მთიულთა სიმღერების იმ კატეგორიას, რომელთაც საფუძვლად ფშაური ან ჩრდილო კავკასიის სიმღერების ინტონაციები უდევს, ამით არ ვგულისხმობთ რაიმე დასესხებას, არამედ ეს აისნება იმ ურთიერთობით, რომელიც დამყარებულია, როგორც მათს კულტურულისტორიულ კავშირზე, ისე საზოგადოებრივ-ყოფაცხოვრებითსა და გეოგრაფიულ პირობებზე. მოხევეთა, მთიულთა და ფშავთა სიციალურ და ეკონომიკურ ცხოვრების ასეთი ერთობა ხელს უწყობდა მათ შორის საერთო მსოფლმხედველობის

გამომუშავებას, ერთნაირი ყოფის, ადათ-ხევულების განვითარებას, რაც თავის მხრივ ჰქმნიდა ერთნაირ კულტურას საერთოდ, ხოლო კერძოდ სამუსიკო შემოქმედებას, რომელიც შემდეგში ვითარდებოდა თვითეული ტრმის მიერ სხვადასხვაგარად.

რაც შეეხება მთიულების სიმღერების მსგავსებას ქართულ სიმღერებთან, აქ სრულიად აშკარაა უკანასკნელის გავლენა. ამ შემთხვევაში უნდა აღნიშნოთ ერთის მხრივ მთლიანად გადატანა ქართლურის სიმღერებისა, როგორც „ბერი კაცი“, „ჩაუხტეთ ბარათაშვილსა“, „მეტივური“, „სუფრული“ და სხვ., ხოლო მეორეს მხრივ—ქართლური სამხმიანი სიმღერების პრაქტიკული მიღების შედეგად—თავისებური სამხმიანობის გამომუშავება.

ზოგიერთ მთიულურ სამხმიან სიმღერებს ფშავებში ორხმად მღერიან, რაც იმის მომასწავებელია, რომ ეს სიმღერები მთიულებშიც უწინ ორხმად სრულდებოდა; ხოლო მესამე ხმის მიმატება აღნიშნავს მთიულური სამუსიკო ფოლკლორის განვითარების შეძეგვას ეტაპს. საკითხის ნათელსაყოფად შევაღაროთ ფშაური „ჯვარის წინასა“ მთიულურ „ნამგლურს“, რომელიც ერთი მეორეს ემსგავსებიან მელოდიის, რიტმიკისა და პარმონიის მხრივ. (იხ. მაგ. № 4).


გადავდივარა რა ქართლ-კახურ სამუსიკო ფოლკლორზე, აღვნიშნავთ, რომ უკანასკნელი შეიცავს ქართულ ხალხურ სიმღერის მეტად მრავალფეროვან სახეს და ფორმას. მხოლოდ ქართლსა და კახეთში ვხვდებით განვთარებულ ფორმას ქართული ცალფა სიმღერებისა, რომელიც სრულდება დამოუკიდებლივ, რომელიმე სამუსიკო საკრა-

## ქვარი რიცასა

*Allegro non troppo.*

*Allegro non troppo.*

## ნაგოლითი



მაგალითი № 4

ვის აყოლების გარეშე. აქ სახეში არა გვაქვს აკვნის სიმღერა „ნანა“, რომელსაც უველგან ცალფად ასრულებენ ქალები.

ეს სიმღერები ეკუთვნის შრომის სიმღერების კატეგორიას, რომლებიც სრულდება უმთავრესად ლეწვის ან ხვნის დროს, რის გამო ამ სიმღერებს ეწოდებათ „კალოური“ ან „გუთნური“. ამავე კატეგორიას ეკუთვნის „ურმული“-ც. კალოსა და გუთანზე შესასრულებელ სიმღერებისთვის ხალხს მიეკუთვნება ერთი გამაჟროთიანებელი სახელწოდება — „ოროველა“, რომლითაც ცნობილია უმთავრესად ამ ჯგუფის სიმღერები.

ამგვარივე გუთნური და კალოური სიმღერები დიდათაა გავრცელებული სომხეთში შერომელ გლეხთა შორის და მათაც იგივე სახელწოდება აქვთ, მცირედი განსხვავებით, სახელდობრ „ოროველ“ და არა „ოროველა“.

შეტად საინტერესოა, რომ მათი მსგავსება გამოიხატება არა მხოლოდ სახელწოდებაში, არამედ მათ საერთო აქვთ აგრეთვე მუსიკალური ორნამება და შინაარსი. ამ სიმღერებში — სომხურში თუ ქართულში, აშერად გამომუღავნებულია სოფლის სოციალური დიფერენციაცია; როგორც ქართველი, ისე სომები მშრომელობის გლეხი ამ სიმღერებში აღნიშნავს. ცხოვრების მძიმე პირობებს, იძულებითი ხასიათის შრომის, უფლებობას — „ღვთის ანაბარად“ და ბატონის — მემამულის მონად ყოთნას.

ამ კატეგორიის შრომის სიმღერების ასეთი ერთობა ლაპარაკობს მათს უძველეს წარმოშობაზე, როდესაც სომხებსა და ქართველებს აერთიანებდა ერთი საერთო გერარული კულტურა; შესაძლებელია „ოროველ“ და „ოროველა“ ძველადგან დაჩინა-

ლი სახელია მოსავლის ღმერთისა და ეს სიმღერები მიმართულია ამ წარმართული ღმერთისადმი, რომელსაც, სავსებით დასაშვებია, რომ ერთნაირად სცემდნენ თაყვანს, როგორც სომები ისე ქართველი ხალხი.

მეტად საინტერესოა როგორც ამ სიმღერების ისე „ურმულის“ ინტონაციური და რიტმული მხარე. ამ სიმღერებმა თავის ისტორიულ მანძილზე გამოიმუშავეს განსაკუთრებული პირობითი ხერხები და მტკიცე მუსიკალური ფორმა. სიმღერები უმთავრესად იწყობა ზევითა რეგისტრში, შემდეგ უცებ ეშვება ძირს; აქედან გადადის რეჩიტატივზე ისევ ზევითა ფარდებში, საიდანაც ისევე მიმართება ქვევითქვენ და მთავრდება კადანსით ან ნახევარკადანსით. ამის შემდეგ იწყება მეორე ფრაზა, პირველის მსგავსად ზევითა ფარდებში, საიდანაც რეჩიტატივის საშუალებით თანდათანობით ჩადის ქვევით კადანსისაკენ. ასეთი სიმღერებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ხტომა დიდ ან მცირე სეპტიმაზე ქვევიდან ზევით, ფრაზის დასრულების შემდეგ.

ზოგი მათგანი იწყება შესავალით, რომელშიაც მოცემულია ტონია და ხლება თითქოს მისი ხაზ-გასმა, გვამომუღავნება. შემდეგ ისევ ზევით მიმართება მელოდიის ხაზი და მეორდება იგივე სამუსიკო ფორმულა. (იხ. მაგ. № 5).

ამგვარად ყველა ეს სიმღერები დაყოფება ცალკეულ მუსიკალურ ფრაზებად და წინადაღებებად. რიტმი სრულიად თავისუფალია, ასე რომ ამ სიმღერებს ფუძედ პოლირიტმიკა უდევს, რის გამო ხდება დაყოფა არა ტაქტების, არამედ სიტყვიერ ში-

ნაარსთან შეფარდებით, ცალკეულ ფრაზების მიხედვით.

მათი უმრავლესობა აგებულია ეოლიურ, ფრიგიულ და დორიულ წყობებზე. ზოგი მათგანი ემყარება ორ სხვადასხვა წყობას. წყობათა შესახებ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი ქვევით.

შრომის პროცესები ქართლსა და კახეთში დაკავშირებულია აგრეთვე ორხმიან სიმღერებთან. მათი უმრავლესობა სრულდება მკის, განიავების, იშვიათად, ლეჭვის ღროს. ერთხმიან შრომის სიმღერების მსგავსად ამ კატეგორიის სიმღერებსაც აქვთ გამახრიანებელი სახელი — „პოპუნა“, „ერიოა“, „ან ჰერი-ეგა“, იმისდამიხედვით, როგორი შეძანილებით იწყება თვითეული მათგანი. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც ამ ჭგუფის ორხმიანი სიმღერა მოკლებულია სრულიად ტექსტს და სრულდება მხოლოდ გამახალი-სებელ შეძანილებზე — „ჰერი-ეგა“, „პაი-ეი“, „არალალო“ და სხვა.

ამ სიმღერებში წარმოდგენილია სამუსიკო პრიოვნების უძველესი ფორმა, როდესაც მუსიკა მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა სიტყვასა და მოძრაობასთან, როდესაც ამ გაერთიანებულ ხელოვნების ფუძეს რიტმი წარმოადგნდა. და მართლაც ყველა ეს სიმღერები დამყარებულია მტკიცე რიტმზე; მათი რიტმული მხარე მეტად გამახვილებულია და დაკავშირებული შრომის პროცესის რიტმთან, რომელიც ამ შემთხვევაში ორგანიზების როლს თამაშობს. სიმღერა „პოპუნა“, (რომელიც სრულდება მკის ღროს), შესავალის გამოკლებით, რომელიც არსებითად წარმოადგენს ერთი მეორის გამოხმაურებას სიმღერის დაწყებამდე, დაფუძნებულია

ერთ ინტონაციაზე, რომელიც შენაცვლებით მეორდება ორი ჭგუფის მიერ და იმღერება სხვადასხვა შეძანილებზე — „ია“, „ა“, „აი“, „ა“ და სხვა.

იმ სიმღერებში, სადაც ფუნქციონალურად განაწილებულია ორი ხმა, რომელთაგანაც ზევითა ხმას მიჰყავს მელოდიური ხაზი, ხოლო ქვევითა იძლევა ჰარმონიულ ფონს, პრიმიტივობა მაინც რჩება. ზევითა ხმა მღერის უმთავრესად კვარტისა და კვინტის, იშვიათად სექსტის ფარგლებში და ამასთანავე ორი ან ოთხი ტაქტის მანძილზე, რომელიც მეორდება სიმღერის ბოლომდე უმნაშვნელო ცვლილებით. ქვეყნითა ხმა, რომელიც ჩაერთვის უმთავრესად მესამე ან მეხუთე ტაქტში და თითქმის მუდამ უნისონში ან კვინტაში, იძლევა „basso ostinato“-ს, ისიც ყველა შემთხვევაში ერთ ტიპიურ სახეს, ხოლო სხვადასხვა სიმღერაში სხვადასხვაგვარ რიტმულ ერთეულებში. მოვყავს ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი ამ კატეგორიის სიმღერისა. (იხ. მაგ. № 6).

აღნაგობის მიხედვით ეს სიმღერები სხვადასხვა გვარია: 1) პირველ ხმას შენაცვლებით მღერიან ორნი, რომელთაგან ერთს არ მიჰყვება ბანი, ხოლო მეორე ბანთან ერთად მღერის; 2) პირველ ხმას მღერის მხოლოდ ერთი, დანარჩენები აძლევენ ბანს; 3) ორი გუნდი მღერის შენაცვლებით; 4) ზოგი სიმღერა ბოლოვდება მხოლოდ უნისონში, ხოლო ზოგს არა აქვს სრულიად დასაბოლოვებელი კადანი. ტექსტი ატარებს შემთხვევითს, იმპროვიზაციულ ხასიათს; მისი შინაარსი ელემენტარულია და ასრულებს სიმღერისათვის დამხმარე როლს. გვხვდება აგრეთვე სატრაფიალო, სახუმარო და მუშა-

### ტალოური

*Adagio.*

ობის ხასიათის და დანიშნულების შესახები ღექვები.

ორხმიანობას ვხვდებით აგრეთვე საცეფაო სიმღერებს შორის, სადაც ვამჩნევთ იქნივე პრიმიტიულ მელოდიურ და პარმონიულ ელემენტებს. ორხმიან საკულტო სიმღერების შესახებ ზევით გვქონდა უკვე ლაპარაკი, რასაც აქ აღარ გავიმეორებთ, და გადავალო სამხმიან სიმღერებზე, რაც შეადგინ ქართლ-კახური სამუსიკო ფოლკლორის ფრიად მდიდარ ნაწილს.

სამხმიან სიმღერებში ასახულია ქართლის და კახეთის მშრომელ გლეხთა ცხოვრების ყველა მხარეები. ეს სიმღერები მრავალფეროვანი ხასიათისაა და ტექსტუალური შინაარსის მიხედვით შეიძლება დავანაწილოთ შრომის, ყოფაცხოვრების, მგზავრულ, სატარიალო, საქორწილო, სუფრულ, ლირიკულ, საგმირო და სხვ. სიმღერებად.

მუსიკალური აღნავობის და სამ ხმათაგან ფითეული მათგანის როლის მიხედვით ეს სიმღერები დაიყოფა უმთავრესად ოთხ ნაწილად: პირველში შედის ისეთი სიმღერები, რომლებშიც წამყვანი მელოდიური ხაზი პირველ ხმას აქვს. მეორეში—წამყვან მელოდიურ ხაზს ვხედავთ მეორე ხმაში, ხოლო მეორეში ხმა ოქტავით მისდევს ბანს. მესამეში—მეორე ხმას, თუმცა არა აქვს დამოუკიდებელი მოძრაობა, მაგრამ ნაკლებად არის შეზღუდული პირველი ხმით; მეორეში

ში—ორ ზევითა ხმის რიგ-რიგობით მიჰყავს მელოდიური ხაზი. ბანი ოთხივე შემთხვევაში პარმონიულ ფუნქციას ასრულებს და უმეტესად საორგანო პუნქტის ხასიათს ატარებს.

პირველ კატეგორიას მიეკუთვნება კუპლეტური ხასიათის სიმღერები მარტივი მელოდიური და პარმონიული ფაქტურით. ყველა ეს სიმღერები პომოვონურია და ამასთანავე დაცულია სიმღერის ბოლომდე ზუსტი რიტმი. თითქმის ყველა ამ კატეგორიის სიმღერას იწყებს არა მთელი გუნდი ერთად, არამედ ერთი დამწყები, რომელიც უმთავრესად მეორე, იშვიათად პირველ ხმას წარმოადგენს. ქართლ-კახური სიმღერა არასოდეს ბანით არ იწყება.

მეორე კატეგორიის სიმღერების შესახებ, ე. ი. ორდესაც პირველი ხმა და ბანი ოქტავით მოძრაობენ, ხოლო მეორე ხმას მიჰყავს მელოდიური ხაზი, პირველ წერილში გვქონდა ლაპარაკი და აქ აღარაფერს დაუმატებთ.

მესამე კატეგორიის სიმღერებში ორ ზევითა ხმას შორის ვხვდებით პოლიფონურ მომენტებს. ეს სიმღერები უფრო განვითარებულია მელოდიურათ და აგრეთვე სცილდება კუპლეტურ ფორმას. მასში არის ამასთანავე რიტმომეტრიკული სხვადასხვაობა და სამოღულაციო გადახრები, რასაც არ ვხვდებით პირველი ორი კატეგორიის სიმღერებში, რომელთაგან თვითეულს ფუძეთ

### ქართლი

*Allegro non troppo.*

The musical score is handwritten in black ink on two staves. The top staff starts with a soprano note followed by an alto note, both with slurs. This pattern repeats several times. The bottom staff starts with a tenor note followed by a bass note, also with slurs. The lyrics are written in Georgian characters below the notes. The score is in G major and 3/4 time.

თთო შეიძლო უდევს. ასეთ სიმღერების მა-  
გალითებად შეიძლება მივიჩნიოთ კარგად  
ცნობილი სიმღერები: „ბერი კაცი“, „გუშინ  
შვილი გურჯანელნი“, აგრეთვე „ბინდის  
ფერია სოფელი“, „მაყრული“ და სხვა.

ქართლ-კახურ სამხმიან სიმღერათაგან  
ყველაზე მდიდარ სახეს წარმოადგენს მეო-  
თხე კატეგორიის სიმღერები, რომელსაც სა-  
ფუძვლად პარმონიულ-პოლიფონური კონ-  
ცეპცია უდევს. ამ კატეგორიაში შედის უმ-  
თავრესად გრძელი ყაიდის სიმღერები, მე-  
ტად ღრმა და ემოციური. სრულდება მე-  
დიდურად და დიდის აღმაფრენით.

პირველი ორი ხმა, ცდილობს რა გამოამ-  
უღავნოს მთელი თვეისი შემსრულებლობი-  
თი ოსტატობა, ფართოდ ანვითარებს მელო-  
დიურ ხაზს, რომელიც მონაცემალებით გა-  
დადის ერთი ხმიდან მეორეზე, თვითეული  
მათგანის ჩართვის დროს, ხან კი პარალე-  
ლურად მიდის ორივე ხმაში. ამ შემთხვევა-  
ში ხდება შეჯიბრი უკეთესი მელოდიური  
ხევულების შესაქმნელად, რის შედეგადაც  
ჩნდება თავისებური პოლიფონიური შეხა-  
მებები.

ხმების- ჩართვა და ამორთვა თვითეულ  
მომღერალს აძლევს თავისუფალი იმპროვი-  
ზაციის საშუალებას, რაც სიმღერას აძლევს  
შეტ შენაარსს და დაძაბულობას.

ეს სიმღერები, მიუხედავათ იმისა, რომ  
შესდგებიან რამდენიმე მუხლისაგან, რომ-  
ლებიც ტრნალური გადახრების შედეგად  
დაშორებულია ერთი მეორეს სხვადასხვა  
ინტერვალით, უმეტესად კი სეკუნდით, წარ-  
მოადგენენ ერთ მთლიანობას. მათი უმრავ-  
ლესობა იწყება ზევითა ფარდებში და ამას-  
თანავე გამოირების დროს, რომელიც შეი-  
ძლება მოხდეს რამოდენიმეჯერ, მთელი სიმ-  
ღერა სრულდება სეკუნდით ზევით, რაც  
აძლევს მას განსაკუთრებულ საზეიმო ხა-  
სიათს.

დიდათ საინტერესოა აგრეთვე ამ სიმღე-  
რების მელოდიური მხარე, რადგან მასში  
წარმოდგენილია ერთის მხრივ ქართული  
სამუსიკო ორნამენტიკა, ხოლო მეორეს  
მხრივ—ქართული რეჩიტატივის თავისებუ-  
რება, რასაც სჭირდება სპეციალური შეს-

წავლა და მათი ადგილის გამორჩევება მსოფ-  
ლიო სამუსიკო კულტურაში.

ქართლ-კახური გრძელი ყაიდის სიმღერე-  
ბი საინტერესო არიან აგრეთვე ტრნალური  
გადახრებისა და მოდულაციების მხრივ. მა-  
გალითისათვის შეიძლება ავილოთ კახური  
„ჩარულო“, რომელშიაც დემონსტრირებუ-  
ლია დამახასიათებელი ხერხები, რომელთა  
მეოხებითაც სიმღერა, მოხვდება რა შო-  
რეულ წყობაში სრულიად ბუნებრივად, ენ-  
პარმონიზმის გამოყენებით, უბრუნდება და-  
სრულებისას პირვენდელ ტრნალობას. (იხ.  
მაგ. № 7).

ასეთ კატეგორიის სიმღერებს მივაკუთ-  
ვნით აგრეთვე, გარდა სუფრულებისა, საე-  
კლესიო დღესასწაულების სიმღერებს, „ჭი-  
ნა“-ს და „აღილო“-ს.

გადავიცივართ რა ფანდურის შექსატრუ-  
ლებელ ერთხმიან სიმღერებზე, უნდა აღ-  
ვნიშნოთ, რომ ისევე როგორც მთიელების  
(თუშ-ფშავ-ხევსურები, მოხვევ და მთიუ-  
ლები). ზემოაღწერილი სიმღერები, სრულ-  
დება უმეტესად რეჩიტატივის სახით და  
კუპლეტური ფორმით. ტექსტუალურად მა-  
თი უმრავლესობა წარმოადგენს ისტორიულ,  
საგმირო, საშაირო, სატრფიალო და ლირი-  
კულ სიმღერებს.

სანამ შევუძგებოდეთ დასავლეთ საქარ-  
თველის სამუსიკო ფოლკლორის განხილვას,  
უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ამ ნა-  
წილში მცხოვრებ სხვადასხვა ტომებს შო-  
რის, თავისი ვოკალური მრავალხმიანობით  
ყველაზე მეტად რაჭული სიმღერები წააგა-  
ვან ქართლ-კახურს. მსგავსება რაჭულ სიმ-  
ღერებშისა ქართლ-კახურთაში გამოიხინტება  
ფაქტურაში, ხმათა შეხამებებში და პარმ-  
ნიულ ხერხებში.

განსაკუთრებით დიდ მსგავსებას ვამჩნევთ  
გრძელი ყაიდის სუფრულ და ნაწილობრივ  
მაყრულ სიმღერებში. ისევე როგორც  
ქართლ-კახურ სიმღერებში, აქაც ორ ზევი-  
თა ხმაში ვხედავთ მოქნილ მელოდიურ მო-  
ძრაობას, რომელიც შემდეგ გადადის რეჩი-  
ტატივში. ისევე ეს ორი ხმა ხან რიგ-რიგო-  
ბით ჩართვიან სიმღერებში და ხან პარა-  
ლელურად მოძრაობენ, ანვითარებენ რა თა-

ვისებურ მელოდიურ ხაზი; ბანიც ისეთივე საორგანო პუნქტის ფუნქციას ატარებს და მოძრაობს მხოლოდ მუხლების შეცვლის ან კადანსის დროს. თუმცა რაჭული სიმღერები ქართლ-კახურ სიმღერებთან შედარებით ნაკლებ ემოციური და დინამიურია.

რაჭულ სიმღერებს შორის ორიგინალურ სახეს წარმოადგენს სიმღერა „ალილო“, რომელიც მრავლათ არის დარჩენილი რაჭულ სამუსიკო ფოლკლორში. ეს სიმღერები არ წარმოადგენენ ერთი მეორის ვარიანტს, არა მედ ყოველი მათგანი ცალკე; დამოკიდებელი სიმღერაა და მდიდარია მელოდიით და პარმონიულ ფერებით. რაც შეეხება წყობით სტრუქტურას, გადახრებსა და მოღულაციას, ამ სიმღერებს განსაკუთრებული

დაგილი უჭირავთ ქართულ სამუსიკო ფოლკლორში. თვითეულ მათგანში სხვადასხვა-გარად არის წარმოდგენილი ხერხები ტონალობების შენაცვლებისა, რაც ფრიად ორიგინალურ სახეს ძლევს სიმღერას. (იხ. მაგ. № 8).

საინტერესო სამოღულაციო მომენტებისა და წყობების შენაცვლების გამონახვა შეიძლება აგრეთვე სხვა სიმღერებშიც—მგზავრულებში, ფერხულებში, საისტორიოში, საწესოში და სხვა, მიუხედავად იმისა, რომ ესენი მოკლე ხასიათისანი არიან და ვითარდებიან სულ 8 ან 12 ტაქტის ფარგლებში.

მელოდიური ხაზი ამ სიმღერებისა მოთავსებულია ზევითა ხმაში; შუალა ხმა მიჰყება პირველს და იძლევა სხვადასხვა ინ-

## ჩატრულო

*Largo (♩ = 48)*

ad libitum.

ten.

ten. 3m  
ten-hng 3m - 3m

ten.  
- (n) - 3m 3m - 3m  
3m, 3m.

ad lib.  
ten-hng 3m - 3m - 3m - 3m  
3m - 3m - 3m - 3m

ten.  
3m

ten.  
ten-hng 3m - 3m - 3m - 3m  
3m - 3m - 3m - 3m

ten.  
3m

ten.  
ten-hng 3m - 3m - 3m - 3m  
3m - 3m - 3m - 3m

ten.  
3m

ტერვალურ შეხამებებს სეკუნდიდან კვინტამდე, ხოლო ბანი, რომელიც საერთოდ ჩაერთვის დამწყების შემდეგ, იძლევა პარმონიულ, საყრდენ წერტილს.

საჭიროა ოლინიშნოს, რომ რაჭველების მეზობლობას იმერლებთან და სვანებთან არ ჩაულია უშედეგოდ და თავისი კვალი დაუშჩინებია რაჭულ სამუსიკო ფოლკლორზე, სადაც ვხვდებით ელემენტებს, დამახასიათებელს იმერული და სვანური ხალხური სიმღერებისათვის.

ორხმიან გუნდურ სიმღერებს და ერთხმიან ცალფა სიმღერებს, სამუსიკო ხაკრავის აუყოლებლივ, რაჭაში ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს სახვა ჭუთხში, არა ვხვდებით. ჩვენამდე მოაღწიეს მხოლოდ ყრთხმიან სიმღერებმა ჩასაბერი საკრავის, „სტვირის“ თანხლებით. ამ სიმღერებს, მეტწილად რეჩიტატიული, თხრობითი ჩასიათი ძევთ და რიტმიც თავისუფალია.

მესტვირების სიმღერა თავისი მუსიკალური ენის მხრივ უახლოვდება მეტყველებითი ინტონაციებს.

სტვირს, თუმცა დიდის ხალისთ უსმენს მესტვირეს.

მესტვირების რეპერტუარი საქმით მრავალფეროვანია. უმთავრესად ისინი თხზავენ თავის სიმღერებს ისტორიულ პიროვნებების, სხვალხო გმირების, დუხშირი ცხოვრების შესახებ. მათ რეპერტუარში საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე სახუმარო და ყოფაცხოვრებითი სიმღერებსაც.

მესტვირების ჰყუამახვილობა, მოსწრებული სიტყვა, იმპროვიზაციის განსაკუთრებული ნიჭი და ლექსების შინაარსიანობა მეტად იზიდავდა და ამჟამადაც იზიდავს ფართვ მასებში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მესტვირეს როლი სოციალური შინაარსით გამახვილებული რევოლუციური სიმღერების შექმნაში და მასებს შორის გავრცელებაში, რაც უნერგავდა ხალხს სიძულვილს არსებულ წყობილებისადმი და უწყობდა ხელს გლეხთა აჯანყების თრგანიზაციას, რომლებიც ხშირად იჩენდა თავს XIX საუკუნეში.

ერთ-ერთ ასეთი სიმღერის სამაგალითო

### აღა ი ღო თ

#### მაგალითი № 8

სტვირზე უკრავენ პროფესიონალი მუსიკოსები, რომლებიც სარგებლობენ დიდის სიყვარულითა და პოპულარობით ხალხში. უნდა კი აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ძალიან მცირდება და თანდათან ქრება, რადგან ახალგაზრდობა არ ეტანება

ნიმუშს წარმოადგენს ყველასათვის ცნობილი ლექსი ხალხის საყვარელ გმირ არსენაზე, (არსენ აღელაშვილი), რომელსაც დიდი პოპულარობა მოუპოვეს მესტვირებმა, ამ სიმღერის ავტორებმა და გამავრცელებლებმა.

## ექვთი ერისთავი

(განდაცვალებიდან 50 წლის აღსანიშნავად)

„ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ცველა ქართველის გულს, აატოყა და შეათამაშა ქართველების ძარღვი. ცეცხლი, რომელსაც შემოხველდა ნაცარი და აღარა სჩანდა, ეხლა გამოიყურებოდა ისე, რომ შორი მანძილიდანაც სხანს, ღვივის თანდათან. „სამშობლომ“ მოგვცა შემთხვევა, რომ ქართველები რამდენიმე ხანს ერთად ვფიქრობდით, ერთად განვიგრძნეთ არა რომელიმე კერძო კითხვა, არამედ საყოველთაო საზოგადო საგანი... მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკევებული ხალხი, გან-განზე მოსიარულე, ერთმანეთის მიუნდობელი, შეიქრიბა ერთ ადგილას და მისმა წევრებმა გადააბეს ერთმანეთს თავიანთი გულის მოძრაობა, სულის კითხება. მიენდნენ ერთმანეთს და გაიმაგრეს გული იმ იმედით, რომ ერთს და ორს კი არ შესტკივებია გული სამშობლოსათვის, არამედ მთელს ხალხს...“

ასე სწერდა უურნალი „იმედი“ პიესა „სამშობლოს“ დადგმის შესახებ, რომელიც განახორციელა ქართულმა თეატრმა 1882 წელს.


დიდი მნიშვნელობა ქონდა „სამშობლოს“ დადგმას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რომელსაც ქართველი ხალხი ცარიზმის წინააღმდეგ აწარმოებდა XIX საუკუნის მეორე ნახევაზში და რომლის მოთავეც იყო საზოგადო მოღვაწეების პლეადა დიდ მწერალ-მოღვაწე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ქავათა მეთაურობით.

მაგრამ ჯერ თვით „სამშობლოს“ დამწერზე, დავით ერისთავზე, ვიღაპარაკოთ.

დავითი, ცნობილ მწერლის და 1850 წელს ქართული თეატრის დამარსებლის და ხელმძღვანელის გიორგი ერისთავის, შვილი იყო,

დავითი დაიბადა 1847 წელს სოფელ ხადისთავში, სადაც იმქამად სცხოვრობდა გიორგი ერისთავი. დავითის ანბანი ქართული თეატრის ცნობილმა აქტიორმა გიორგი ღვანაძემ შეასწავლა. ეს უკვე თბილისში მოხვდა, სადაც გიორგი ერისთავი გაღმოსახლდა მისი თეატრის მუშაობასთან დაკავშირებით.

ჩენ ვიცით თუ რა ბედი ეწვია გიორგი ერისთავის თეატრს. ცარიზმის მოხელეებმა თეატრის სახით დიდი საშიშროება დაინახეს არსებული წესწყობილებისათვის და მა



დავით ერისთავი

თი ჟეონებით თეატრი ლიკვიდირებულ იქნა.

